# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№84 (9764) 2024 წლის 17 ივლისი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


# ოლიმპიელებო, გამარჯვებისთვის სწორდით!



**საქართველოს მთავრობა ოლიმპიურ ჩემპიონებს — მილიონ ლარს, ვერცხლის მედალოსნებს — ნახევარ მილიონს, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორებს 250 ათას ლარს გადასცემს**

**ტრადიციულად, წესდება პრემია ოლიმპიური თამაშების წინ და ამ შემთხვევაშიც საქართველოს მთავრობის მხრიდან ოლიმპიური ჩემპიონებისთვის მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი ოლიმპიელების გაცილების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, გაგრძელდება მხარდაჭერა ქართული სპორტის, ქართველი ოლიმპიელების, ოლიმპიური გუნდის მიმართ და ეს მხარდაჭერა წლიდან წლამდე უფრო მეტად გაიზრდება.

„ნახევარი მილიონი ლარი გამოიყოფა ვერცხლის მედლის შემთხვევაში, 250 ათასი ლარი – ბრინჯაოს პრიზიორებისთვის. დარწმუნებული ვარ, დამატებითი მოტივაცია არ გჭირდებათ, რათა ბოლომდე იბრძოლოთ ჩემპიონობისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არის დამატებითი ფაქტორი, რომელიც თქვენს მოტივაციას ალბათ დამატებით აამაღლებს.

მინდა, დაგპირდეთ საქართველოს მთავრობის სახელით, რომ კვლავ გაგრძელდება მხარდაჭერა ქართული სპორტის, ქართველი ოლიმპიელების, ოლიმპიური გუნდის მიმართ და ეს მხარდაჭერა, უფრო მეტიც, კიდევ უფრო გაიზრდება წლიდან წლამდე. მინდა, გისურვოთ ძალიან დიდი წარმატებები ოლიმპიურ თამაშებზე“...

# ოლიმპიელებმა ფიცი დადეს

**ცერემონიების სასახლეში სპორტსმენების გაცილების ცერემონია გაიმართა, რომელიც ტრადიციულად თამაშებზე გამგზავრების წინ ტარდება.**

წელს საქართველოს ყველაზე ნაკლები, 28 სპორტსმენი წარმოადგენს. ოლიმპიელები სპორტის ათ სახეობაში იასპარეზებენ.

პარიზის თამაშების წინ არ შეცვლილა დევიზი – უკეთ, ვიდრე წინა ოლიმპიადაზე.

პარიზის ოლიმპიადის ლიცენზიანტთა სია:

1.ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა);
2. ლაშა გურული (კრივი);
3. გიორგი ყუშიტაშვილი (კრივი);
4. გოდერძი ძებისაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 65 კგ.);
5. ვლადიმერ გამყრელიძე (თავისუფალი ჭიდაობა, 86 კგ.);
6. გივი მაჭარაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 97 კგ.);
7. გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 125 კგ.);
8. რამაზ ზოიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 67 კგ.);
9. რობერტ კობლიაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 97 კგ.);
10. ლაშა გობაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 87 კგ.);
11. სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა);
12. ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა);
13. შოთა მიშველიძე (ძალოსნობა, 61 კგ.);
14. ირაკლი ჩხეიძე (ძალოსნობა, 102 კგ.);
15. ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა, + 109 კგ.);
16. გიორგი სარდალაშვილი (ძიუდო, -60კგ.);
17. ვაჟა მარგველაშვილი (ძიუდო, -66 კგ.);
18.ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო, -73 კგ.);
19. ტატო გრიგალაშვილი (ძიუდო, -81 კგ.);
20. ლაშა ბექაური (ძიუდო, -90 კგ.);
21. ილია სულამანიძე (ძიუდო, -100 კგ.);
22. გურამ თუშიშვილი (ძიუდო, +100 კგ.);
23. ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო, -57 კგ);
24. ეთერ ასკილაშვილი (ძიუდო, -63 კგ.);
25. სოფიო სომხიშვილი (ძიუდო, +73 კგ.);
26. ლიკა ხარჩილავა (მძლეოსნობა – რბენა, 100 მ.);
27. ანა ნიჟარაძე (ცურვა, ბატერფლაი, 100 მ);
28. ნოე ფანცხავა (გულაღმა ცურვა, 100 მ);

ძიუდოს ქალთა და კაცთა შერეული ნაკრები გუნდი.



2

# ან იომებთ, ან წახვალთ!!!

**გუშინ თბილისში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახალი ცენტრალური ოფისი გაიხსნა.**

სიტყვა წარმოთქვა პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა და ამით „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ და პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა.

6-7

# „არგო 2014 – ლეგენდის გაცოცხლება“



# უნგრელი თავს ქვიშაში არ ყოფს!

8

# ან იომებთ, ან წახვალთ!!!

## ბიძინა ივანიშვილი დასავლეთს ამხელს!



„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიისა და ახალი ცენტრალური ოფისის გახსნაზე

**მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო,**
მივესალმები ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებმაც ოქტომბერში კიდევ ერთხელ უნდა თქვან გადამწყვეტი სიტყვა და დაიცვან საქართველოს ნათელი მომავალი.

გავიხსენებ 2012 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციიდან დაამარცხა „ნაციონალური მოძრაობა“ და ქვეყნის განვითარებაში პრინციპული გარდატეხა შეიტანა. 2012 წელს ჩვენ წარსულს ჩავაბარეთ რეჟიმი, რომლის ხელწერა იყო ადამიანების წამება, უკანონო პატიმრებით სავსე ციხეები, ბიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება, არჩევნების გაყალბება, საქართველოს ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვა.

ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობის წყალობით, 2012 წელს დავამარცხეთ სისხლიანი რეჟიმი და ვფიქრობდით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვეღარასოდეს განაცხადებდა პრეტენზიას ხელისუფლებაში დაბრუნებაზე. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მათ ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული და წარმოადგენდნენ იმ გლობალური გავლენის მქონე ძალის აგენტურას, რომელსაც დღეს გლობალურ ომის პარტიად მოვიხსენიებთ. სწორედ გლობალური ომის პარტიის მფარველობის შედეგია, რომ ამ ბოროტებასთან დღემდე გვიწევს ბრძოლა.

ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ 2012 წლიდან დღემდე უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ეს ბრძოლა 2016, 2020 და 2021 წლებშიც საქართველოს და მისი სუვერენიტეტის გამარჯვებით დასრულდა. წინასწარ დაგეგმილი მცდელობის მიუხედავად, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მფარველებს, საბოლოოდ, სამივე შემთხვევაში არჩევნების შედეგების აღიარება მოუწიათ.

საქართველო ანალოგიური მოცემულობით ხვდება 26 ოქტომბრის არჩევნებსაც. 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებშიც საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს იმ ძალებზე, რომლებიც გასული 4 წლის მანძილზე საქართველოში არეულობის შემოტანას და ქვეყნის ომში ჩათრევას გამალებით ცდილობდნენ. კიდევ ერთხელ გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ აგენტურაზე, გაიმარჯვებს მშვიდობის პარტია ომის პარტიაზე.

კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი მფარველებისთვის ესაა ბოლო გაბრძოლება საქართველოში არეულობის შემოსატანად და მეორე ფრონტის გასახსნელად. „ქართული ოცნებისთვის“ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოში მშვიდობის საბოლოოდ განსამტკიცებლად, გარედან ხელოვნურად თავს მოხვეული რადიკალიზმისა და პოლარიზაციის დასასრულებლად, სიმშვიდის, სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლის შესანარჩუნებლად, ეროვნული ღირსების დასაცავად და ამ ყველაფრის შედეგად, საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესანარჩუნებლად.

წლევანდელი არჩევნები ერთი რამით არის გამორჩეული. ქართველი ამომრჩეველი არასდროს ყოფილა ასეთი გათვითცნობიერებული იმ პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რომლებიც საქართველოში და საქართველოს გარშემო ამ წლების განმავლობაში ვითარდებოდა. ასეთ პირობებში, დღეს ქართველი ხალხისთვის არჩევანის გაკეთება კიდევ უფრო მარტივია. ამ ყველაფრის შედეგიცაა, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი, რეკორდული მხარდაჭერა აქვს და მას მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი უცხადებს ნდობას.

**ურთულესი გამოწვევებისა და უმძიმესი ზეწოლის მიუხედავად, გასული 4 წლის მანძილზე, ჩვენ ქვეყანას შევუნარჩუნეთ მშვიდობა, გავაორმაგეთ დოლარში ქვეყნის ნომინალური ეკონომიკა და მივიღეთ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ამ ყველაფრის შესაძლებლობა მოგვცა სწორედ ქართული საზოგადოების თანადგომამ, რომელმაც დეზინფორმაციისა და მანიპულაციის არაერთი ტალღის მიუხედავად, შეცდომა არ დაუშვა და საქართველო იმ ტრაგედიისგან დაიცვა, რომელიც, სამწუხაროდ, უკრაინაში დატრიალდა.**

**ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს მოსახლეობა 26 ოქტომბრის არჩევნებსაც უშეცდომოდ ჩაატარებს და „ქართული ოცნება“ საქართველოს პარლამენტში მორიგ ჯერზე მანდატების უმრავლესობას მიიღებს. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს არ არის საკმარისი.**

ჩვენ გვჭირდება განსაკუთრებულად მყარი, საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება იმისათვის, რომ საბოლოოდ დავასრულოთ ომის პარტია, აგენტურა, რადიკალიზმი, პოლარიზაცია და ლიბერალური ფაშიზმი საქართველოში; იმისათვის, რომ საქართველომ შეუქცევადად განაგრძოს მშვიდობიანი განვითარება, ეკონომიკური წინსვლა და მიაღწიოს ევროპული სტანდარტების კეთილდღეობას, რაც ქვეყნის ევროკავშირში გაწევრების აუცილებელი პირობაა.

ქვეყნის შეუქცევადი განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კოლექტიურმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სრულად აგოს პასუხი ქართული საზოგადოებისა და კანონის წინაშე. არჩევნების შემდეგ, მათ მოუწევთ პასუხისგება ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩაიდინეს, განსაკუთრებით, 2008 წელს დაკვეთის შესრულებისა და ქვეყნის ომში ჩართვის გამო, რაც ჩვენ ქვეყანას ორი ისტორიული რეგიონის დროებით დაკარგვად დაუჯდა. კონტროლი დავკარგეთ 125 დასახლებულ პუნქტზე, გარდაიცვალა 412 ჩვენი მოქალაქე, დაიჭრა და დასახიჩრდა 2 ათასამდე ადამიანი, ხოლო ომის შედეგად 26 000 ჩვენი თანამემამულე საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. სწორედ ამისათვის გვჭირდება ჩვენ მაქსიმალური სახალხო ლეგიტიმაცია.

დღეს, საქართველოს არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი ქვეყნის გაწირვის რისკზე წავიდეს. საკმარისია გადავდგათ ერთი არასწორი ნაბიჯი და საახალწლოდ ტრადიციული ფეიერვერკის ნაცვლად, ლომჯარიას ფეიერვერკს მივიღებთ. იმისათვის, რომ ასეთი კრიტიკული არჩევანის წინაშე აღარასდროს დავდგეთ, აუცილებელია საბოლოოდ დავამშვიდოთ ჩვენი ქვეყანა, დავასრულოთ აგენტურა, რადიკალიზმი და პოლარიზაცია, რის შემდეგაც ჩვენი ქვეყანა სწრაფი ტემპით განაგრძობს წინსვლასა და განვითარებას.

სამწუხაროდ, კონკრეტული ძალები კვლავაც არ იშლიან ფიქრს მეორე ფრონტზე, რამაც, მათი გათვლით, პირველ ფრონტზე არსებული რთული მოცემულობა უნდა შეცვალოს. სწორედ მეორე ფრონტის ლობირების შედეგია ის უპრეცედენტო ზეწოლა, რომელიც საქართველოზე უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება და უკრაინაში ომის დაწყების დღიდან განსაკუთრებულად გააქტიურდა.

გლობალური ომის პარტია სარგებლობს მნიშვნელოვანი გავლენით დღევანდელ ამერიკულ და ევროპულ ბიუროკრატიაზე, რაც ქართულ საზოგადოებაში ქმნის აღქმას, რომ საქართველოს კონფლიქტი ამერიკის სახელმწიფოსთან და ევროკავშირთან აქვს. თუმცა, როგორც კი უკრაინაში ომი დასრულდება, ინტერესები შეიცვლება და ეს აღქმაც მყისიერად გაქრება.

გლობალური ომის პარტიის სურვილი ცხადია. რადგან დარწმუნდნენ, რომ ომში არ ჩავერთვებით და საქართველოს უკრაინის ბედის გაზიარებისთვის ვერ გავწირავთ, მათ აქვთ ბოლო მცდელობა, ხელისუფლებაში დააბრუნონ აგენტურა, უსამშობლო ადამიანების ერთობა, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ამ ნაბიჯს დავალების მიღებისთანავე გადადგამს. სწორედ ამიტომ ლობირებენ ისინი ძველ და ახალ „ნაციონალურ მოძრაობას“ – სააკაშვილს, გვარამიას, ზურაბიშვილს, ხაზარაძეს, გახარიას, ბოკერიას და სხვა უსამშობლო პოლიტიკოსებს, რომლებიც ნებისმიერი დავალების შესრულებაზე მოაწერენ ხელს. **„ან იომებთ ან წახვალთ“ – ეს არის ყოვლად მიუღებელი დამოკიდებულება, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა 26 ოქტომბერს სათანადო პასუხს გასცემს.**

ყველასათვის ცხადია, რომ ომში ჩართვის შემთხვევაში, საქართველო უკრაინაზე მძიმე შედეგსაც კი მიიღებს. ამ შედეგის თავიდან აცილება არის უპირველესი ამოცანა, რომელიც 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვებით საბოლოოდ გადაიჭრება.

**გადასატანი გვრჩება მაქსიმუმ ერთი წელიწადი, რის შემდეგაც, ფუნდამენტურად შეიცვლება როგორც გლობალური და რეგიონული პოლიტიკური ინტერესები, ისე ინტერესები კონკრეტულად საქართველოს მიმართ. უკრაინაში მიმდინარე ომი ყველაზე გვიან ერთ წელიწადში დასრულდება, ხოლო, თუ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელები გაიმარჯვებენ, ომი იანვარშიც კი შეიძლება დასრულდეს. შესაბამისად, მთავარია, ეს მცირე დროც მოვიგოთ და როგორც კი ომი დასრულდება, ამერიკასთან და ევროპასთან ყველა გაუგებრობა დაუყოვნებლივ წარსულს ჩაბარდება და საქართველო გლობალური პოლიტიკის მოთამაშეებისთვის სრულიად განსხვავებული ინტერესის საგანი გახდება.**

საქართველო თანმიმდევრულად ვითარდება, მათ შორის, ძლიერდება მისი სტრატეგიული ეკონომიკური დატვირთვა. ისტორიულად, საქართველო ერთმანეთს აკავშირებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ევროპასა და აზიას. ვაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ გამოვკვეთოთ საქართველოს როლი შუა დერეფნის პროექტში. მინდა მადლობა გადავუხადო ჩინეთის ხელისუფლებას, რომელმაც საქართველოს მიმართ განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოხატა. ეს არის შედეგი, რომლისთვისაც „ქართული ოცნების“ გუნდი და პირადად მე წლების მანძილზე ვქმნიდით საფუძველს.

**აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩინეთთან ჩვენი თანამშრომლობის გაღრმავება არ არის ალტერნატივა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის. პირიქით, ეს არის შემავსებელი ფაქტორი იმ საერთო თანამშრომლობისთვის, რომელიც მომდევნო წლების განმავლობაში უნდა გაღრმავდეს. იმისათვის, რომ საქართველომ განავითაროს საკუთარი დამაკავშირებელი სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია, აუცილებელია თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ორივე მხარესთან – დასავლეთთან და აღმოსავლეთთან. დარწმუნებული ვარ, უკვე მომავალ წელს, საქართველოს ხელისუფლების ამ ძალისხმევას დასავლეთშიც დააფასებენ. დარწმუნებული ვარ, ყველა გაიაზრებს იმასაც, რომ საქართველოში მშვიდობის შენარჩუნებით ჩვენ, ქართულ საქმესთან ერთად, მათი საქმეც გავაკეთეთ.**

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არის რეფერენდუმი. ეს არის რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის, მონობასა და ღირსებას შორის, ბნელ წარსულში დაბრუნებასა და წინსვლას შორის, სრულ უპერსპექტივობასა და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას შორის.

**მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ – ეს არის ერთადერთი ალტერნატივო არჩევანი, რომელსაც ქართველ ამომრჩეველს „ქართული ოცნება“ სთავაზობს.“**

**16 ივლისი, 2024.**



„ქართული ოცნების“ ახალი ოფისი გორგასლის ქუჩაზე

სიმართლე გაიმარჯვებს
საქართველოს რესპუბლიკა

# საით მიდის ლიბერალური ფაშიზმი?



## შალვა პაპუაშვილი:

## დღემდე ვერ ვნახეთ ვერცერთი ევროპელი ელჩი, რომელიც გაემიჯნებოდა „ჯემნიუსის“ თანამშრომლის მიერ 84 ტყვიით მუქარას პარლამენტის წევრებისადმი, არადა, ეს ორგანიზაცია ფინანსდება ევროკავშირის ბიუჯეტიდან

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, საზოგადოებაში არიან ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ, დონალდ ტრამპზე თავდასხმის მნიშვნელობა დააკნინონ, თითქოს ეს ყველაფერი შემთხვევითობაა.**

**მისი თქმით, „ზუსტად აქეთკენ მიდის ლიბერალური ფაშიზმი“.**

**„გულდასაწყვეტია, რომ ჩვენს საზოგადოებაში, პოლიტიკურ და ენჯეოსექტორში არიან ჯგუფები, რომლებსაც შეუძლიათ, ეს ქვეყანა გაწირონ ისე, რომ თვალსაც არ დაახამხამებენ. ვნახეთ, რომ ყველა ცდილობს, რაღაცნაირად დააკნინოს ამ შემთხვევის მნიშვნელობა. მათ თუ დავუჯერებთ, ეს ყველაფერი შემთხვევითობაა – ფიცოს ესროლა ვიღაც პენსიონერმა, ტრამპს – ვიღაც თინეიჯერმა და ასე შემდეგ. სინამდვილეში ვხედავთ, რომ ეს არის ერთი ხელწერა. ამიტომ ვამბობთ, რომ ლიბერალური ფაშიზმი, რომელიც ზოგიერთი ჯგუფის მეშვეობით, უცხოური დაფინანსებით ინერგება საქართველოში, ზუსტად აქეთკენ მიდის, ზუსტად ასე შეაჩეჩა ხელში „მოლოტოვის კოქტეილი“ ერთ-ერთ ახალგაზრდას, რომლის სროლის შედეგადაც პოლიციელი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ყველას შეგახსენებთ, რომ სალომე ზურაბიშვილმა ეს ადამიანი შეიწყალა. ახლა რომ ფარისევლურად გამოთქვამს წუხილს ტრამპზე თავდასხმასთან დაკავშირებით, სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა ადამიანი, რომელიც სიკვდილისთვის წირავდა პოლიციელს და ცეცხლი წაუკიდა. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს არის შედეგი, რომ შემდეგ დააბრალონ პოლარიზაციას, გახლეჩას და არ ჩანდეს კონკრეტული დამნაშავე, ის, ვინც აქეზებს, ცეცხლს უკიდებს, აპროვოცირებს ასეთ ქმედებებს. ზუსტად ამას ვაკვირდებით საქართველოში და ამიტომაც ვამბობდით, რომ მნიშვნელოვანი იყო, ყველა დონორი გამიჯვნოდა რაღაც ლიბერალურ ფაშისტურ კამპანიებს, რომლებიც საქართველოში იყო წარმოებული.**

**გავიდა კვირები, თვეები და დღემდე ვერ ვნახეთ ვერცერთი ევროპელი ელჩი, რომელიც გაემიჯნებოდა მაგალითად, „ჯემნიუსის“ თანამშრომლის მიერ 84 ტყვიით მუქარას პარლამენტის წევრებისადმი, არადა, ეს ორგანიზაცია ფინანსდება ევროკავშირის ბიუჯეტიდან. ერთი წუხილიც არ გამოუთქვამს არცერთ ევროპელ პოლიტიკოსს თუ დიპლომატს, დღემდე ვერ გამიჯვნია ვერცერთი ევროპელი, დასავლელი პოლიტიკოსი თუ დიპლომატი, როდესაც „გრასის“ თანამშრომელი მიუვარდა პარლამენტის წევრს და მის ოჯახს. ამასთან დაკავშირებით ხმაც არ ამოუღია არავის. დღემდე არცერთი ევროპელი თუ დასავლელი პოლიტიკოსი თუ დიპლომატი არ გამიჯვნია ორგანიზაცია „სირცხვილიას“ წარმომადგენლის მხრიდან უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების პირადი სატელეფონო ნომრების გასაჯაროებას და შემდეგ მათი ოჯახის წევრებთან დარეკვას, მუქარას, ზეწოლას. რა თქმა უნდა, ეს არის აცდენა ევროპული ღირებულებებისგან და მნიშვნელოვანია, რომ ეს ჯგუფები, ვგულისხმობ უცხოელ პოლიტიკოსებს თუ დიპლომატებს, დაუბრუნდნენ ევროპულ ღირებულებებს, ვინაიდან სიძულვილის, მუქარის, ზეწოლის კამპანიის მიმართ წაყრუება ამ კამპანიის წახალისებაა. ეს დავინახეთ კონკრეტულ მაგალითებზე. იქიდან გამომდინარე, რომ ჩუმდებიან ადამიანები, რომლებიც ამავე დროს, დამფინანსებლები არიან ორგანიზაციების, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს არის მოწონებული და შეუძლიათ, გააგრძელონ მათი საქმიანობა.**

**არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების გამჭვირვალობის საბაზისო კვლევით დადასტურდა ის დეზინფორმაციული, კოორდინირებული შტურმი, რომელიც საქართველოზე მიდიოდა თვეების განმავლობაში,“** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ამაში არა მხოლოდ თავად „ენჯეოები“, არამედ მათი დონორებიც იყვნენ ჩართული, რომლებიც არწმუნებდნენ ქართულ საზოგადოებას, უმრავლესობის წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა, რომ ყველაფერი გამჭვირვალე და ცნობილია ხალხისთვის.

**„გამოჩნდა ის 500-მდე ენჯეო, რომელიც აპროტესტებდა გამჭვირვალობის კანონს. მათი ნაწილი ამბობდა, რომ არ დარეგისტრირდებიან რეესტრში. ჩავხედეთ და აღმოვაჩინეთ, რომ ორგანიზაციების 80 პროცენტს არც ვიცით, გრანტი რამდენი აქვს. არ ვიცით, ორგანიზაციების 70 პროცენტის დონორები ვინ არიან. 97 პროცენტი ამბობს, რომ საზოგადოებას წარმოადგენს, ისინი ანგარიშებსაც კი არ აწვდიან საზოგადოებას, წლის განმავლობაში რა გააკეთეს. 97 პროცენტი იმასაც არ კადრულობს, საზოგადოებას ჩააბაროს ანგარიში. ვნახეთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, საერთოდ არ ვიცით, თანამშრომლები ვინ არიან, ვინ დგას ამ ორგანიზაციების უკან.**

**ვნახეთ, რომ შვიდკომპონენტიანი საბაზისო ინფორმაცია, ვებგვერდი აქვს თუ არა, დონორი ვინ არის, რა მოცულობის გრანტია და ა.შ. სრულად დაკმაყოფილებული აქვს 474 ორგანიზაციიდან მხოლოდ რვა ორგანიზაციას. ანუ 99 პროცენტის შემთხვევაში ან საერთოდ არ არის საბაზისო ინფორმაცია, ან არასრული ინფორმაციებია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრობლემა მათ ამ კანონთან იმ მხრივ კი არ ჰქონდათ, თითქოს სტიგმატიზაცია ხდება, სინამდვილეში, მათაც და მათ დონორებსაც აქვთ პრობლემა, არ გასაჯაროვდეს ფინანსები, თუ რაში იხარჯება. ეს არის ამის დასტური. ეს კვლევა იცით, რომ გასაჯაროვდა, ყველას შეუძლია, ნახოს ორგანიზაციების ჩამონათვალი. თავად ამ ორგანიზაციებმაც გადახედონ, თუკი რაიმე დამატებითი ინფორმაცია აქვთ, შეუძლიათ, მიაწოდონ ჩვენს პარტიულ სტრუქტურას და იქნება გათვალისწინებული.**

**12 ივლისის მდგომარეობით, მოხდა საჯარო სივრცეში გამოკვლევა, რა ინფორმაცია არის ამ ორგანიზაციების და ეს არის შედეგი. ის ხალხი, რომელიც გამოდიოდა, „ენჯეოები“, მათი დონორები, მათი მოკავშირე პარტიები, რომ ყველაფერი გამჭვირვალეაო, აბა, სად არის გამჭვირვალე. ასე თვალში ნაცარს აყრიან საქართველოს მოსახლეობას „ენჯეოები“, მათი დონორები, შიგნით და გარეთ საქართველოს არაკეთილმოსურნეები“,** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

**მე მივმართავ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, 18 ივლისის 12 საათიდან რიგგარეშე სესიის მოწვევასთან დაკავშირებით. საკმაო დრო აქვს იმისთვის, რომ დადებითი პასუხი მივიღოთ. იმ შემთხვევაში თუ იქნება მცდელობა, რომ ქალბატონმა სალომემ პარლამენტს მუშაობაში ხელი შეუშალოს, უკვე 48 საათის გასვლის შემდეგ, მე ჩავნიშნავ ამ სხდომას. ასე რომ, 18 ივლისს, ყველა შემთხვევაში გვექნება პლენარული სხდომა“,** – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, ხუთშაბათს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი გენერალური პროკურორობის კანდიდატს მოუსმენს და იმავე დღეს, რიგგარეშე სესიის სხდომაზე საკითხი კენჭისყრაზე დადგება. პარასკევს კომიტეტი „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს განიხილავს და შესაბამისად, პარასკევს რიგგარეშე სხდომაზე მოხდება აღნიშნული პროექტის განხილვა და კენჭისყრა.

„ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, კანონის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდებიან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, აგრეთვე დანიშნული სასჯელი შეუმცირდებათ ცალკეული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს, აგრეთვე პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა შეუმცირდებათ პირობით მსჯავრდებულ და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირებს.

კანონპროექტზე წამყვან კომიტეტად იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა.

კანონპროექტის ავტორია: საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება“ და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.



**მინიმუმ ხუთასი (500) ენჯეო მუშაობს დღევანდელი ქართული (პირწმინდად ეროვნული!) ხელისუფლების დასამხობად! არავინ იცის, ვინ დგას იმათ უკან! კონკრეტულად ვინ მუშაობს ამ ორგანიზაციებში! ვინ რიცხავს ფულს სოციალურ-საგანმანათლებლო უმნიშვნელო პროგრამების დასაფინანსებლად! სინამდვილეში კი, საქართველოში „გათეთრებული“ მილიონები ქვეყნის მოღალატე შიდა მტრების დაფინანსების შემდეგ ნახევარზე მეტი უკან მიაქვთ! ამას სიცრუეს ეძახიან და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ (მინიმუმ ამომრჩევლის 70 პროცენტს!) უმრავლესობას თავისუფლად აზროვნების უფლებას არ გვაძლევენ! უტიფრად გვავალდებულებენ, გამჭვირვალობის „რუსული“ კანონი გავაუქმოთ!**

**არავითარ შემთხვევაში, კანონი არ უნდა გაუქმდეს! ქართველი ხალხი, საქართველოს მთავრობა, გონიერი ამომრჩეველი ცამდე მართალია და... არჩევნებზე ეს სიმართლე გაიმარჯვებს!**

# ფაშიზმის ნიღაბჩამოხსნილ ქალას ჩააბარო არჩევნებზე ზედამხედველობის და შეფასების ფუნქცია, ეს უდიდესი დანაშაული იქნება ქართველი ერის წინაშე!



**უკვე ნათლად ჩანს, როგორ არის ჩართული NDI და IRI შინაპოლიტიკურ საარჩევნო კამპანიაში. უფინანსებს კიდეც რადიკალებს მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომ დეზინფორმაცია გაავრცელონ.**

**მამუკა ხაზარაძის პარტიის ლიდერებს – მედეა მეტრეველს და ანა ნაცვლიშვილს წნორში NDI-იმ უმასპინძლა. „ლელოს“ ლიდერებმა წნორის მოსახლეობას საარჩევნო დაპირებები გააცნეს. შეხვედრის მთავარ თემებს შეადგენდა ევროკავშირის რეფორმები, 1000-ლარიანი პენსია, 200 000 სამუშაო ადგილის შექმნა და, რაც მთავარია, მთავარი დაპირება იყო – „რუსი ოლიგარქისა“ და „რუსული ხელისუფლების“ შეცვლის აუცილებლობა.**

აღსანიშნავია, რომ NDI პოლიტიკურ ბრძოლაში მხარედ, არაერთხელ, გამოვლინდა. ამ ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით „პარლამენტარები ევროპული მომავლისთვის“, – პროექტის ფარგლებში, 7-მა ოპოზიციონერმა ქალმა დეპუტატმა რეგიონებში შეხვედრები გამართა. როგორ ხდება, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია თან კონკრეტულ ოპოზიციონერებს აფინანსებს და, ამასთანავე, არჩევნებს აკვირდება?! ამ საკითხთან დაკავშირებით NDI-ს წარმომადგენლობაში კომენტარს არ აკეთებენ.



უმრავლესობის წევრის **ირაკლი ზარქუას** განცხადებით, უკვე ნათლად ჩანს, როგორ არის ჩართული NDI და IRI შინაპოლიტიკურ საარჩევნო კამპანიაში. უფინანსებს კიდეც რადიკალებს მოსახლეობასთან შეხვედრებს, რომ დეზინფორმაცია გაავრცელონ.

„შეგახსენებთ, შემდეგ ეს NDI და IRI იქნებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც დამკვირვებლის სტატუსით დააკვირდებიან წინასაარჩევნო გარემოს და შემდეგ დასკვნები უნდა დადონ. როდესაც მხარე ხარ და რადიკალებს, „ნაცებს“, ამ გაერთიანებებს, უსამშობლოების გაერთიანებებს აფინანსებ წინასაარჩევნოდ, შემდეგ შენი დასკვნა ობიექტური რანაირად იქნება?! ჩვენ ხომ გვინახავს მათი დასკვნები. მათი კვლევები 20-40%-ით ცდება ხოლმე და ძირითადად, რადიკალების სასარგებლოდ. შემდეგ ამის გამო ბოდიშს იხდიდნენ.

**– „ონავარი ნავარო“ გახსოვთ, თქვენ, NDI-ის სახე რომ იყო ერთი მექრთამე, მათი ხელმძღვანელი. ისევ მარგინალებს აფინანსებენ. ბატონებო, ეს მიუღებელია და არაფერში არ წერია. თქვენ გაქვთ მანდატი, რომ დააკვირდეთ, თქვენ გაქვთ მანდატი, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში არ იყოთ ჩართული და ყველაფერს აკეთებთ, რომ ჩვენი კონსტიტუცია დაარღვიოთ, ეს მიუღებელია“!**

**როგორც დეპუტატი აცხადებს, მმართველი გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქართველ საზოგადოებას უთხრან NDI არის რადიკალების გვერდში მდგომი მხარე, „რომელებიც ებრძვიან მართლმადიდებლობას, ეკლესიას, ქართულ ტრადიციებს, სახელმწიფოს, მაგრამ მხარს უჭერენ ლგბტ პროპაგანდას, მეორე ფრონტის გახსნას, პოლარიზაციას და ამას აფინანსებენ“.**

**„მორიგი ლუსტრაცია. ბუნებრივია, ამას არ გაგიტარებთ. ყველგან ვიტყვით, სადაც საჭიროა, ჩვენს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. ფაქტები გვაქვს, თქვენს მიერ დაფინანსებულ ღონისძიებაზე როგორ ხდება პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, დეზინფორმაციის გავრცელება, ლიდერების შეურაცხყოფა და თქვენ გგონიათ ეს ასე ჩაივლის? არა ბატონო, თავიდან ბოლომდე იქნება ანგარიში წარმოდგენილი“**, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

„ხალხის ძალის“ წევრის **თამთა მეგრელიშვილის** განცხადებით, ოპოზიციური სპექტრის მიმართ NDI-ის მიკერძოების მაღალი ხარისხი და წინასაარჩევნო პროცესებში ჩართულობა სადამკვირვებლო მოქმედების ლეგიტიმაციას უკარგავს ამ ორგანიზაციას. მეგრელიშვილი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში გარკვეული ზომებია მისაღები, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან მსგავსი სახის აქტივობები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს NDI-ის სამართლებრივ დანიშნულებას, დააკვირდეს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს.

**„ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი წინასაარჩევნო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებს გასცდა, ის ადრე წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიას საქართველოს კანონმდებლობისა და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად თუ ახორციელებდა, დღეს პირდაპირაა ჩართული ქართული ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიაში.**



**საერთაშორისო ორგანიზაციის NDI-ის მხრიდან ეს და ამგვარი აქტივობები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ ორგანიზაციის სამართლებრივ დანიშნულებას – ის მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებს დააკვირდეს. ოპოზიციური სპექტრის მიმართ NDI-ის მიკერძოების მაღალი ხარისხი და წინასაარჩევნო პროცესებში ჩართულობა სადამკვირვებლო მოქმედების ლეგიტიმაციას უკარგავს ამ ორგანიზაციას და ალბათ, გარკვეული ზომებია მისაღები.**

**2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდება კანონმდებლობის სრული დაცვით და პოლიტიკური შეფასება, რომელსაც ოპოზიციური სპექტრი მიიღებს, იქნება მათი ანტიქართული პოლიტიკისა და მიკერძოებულად მოქმედი ამ და სხვა ორგანიზაციების მოქმედებაზე შედეგის გამოძახილი“**, – აცხადებს თამთა მეგრელიშვილი.

ანალიტიკოსის, „ხალხის ძალის“ წევრის **დავით ქართველიშვილის** შეფასებით, „მიუკერძოებელი არბიტრი“ NDI-ს სახით, ქართული ლიბერალური ფაშიზმის პარტიულ წარმომადგენლებს ტრენინგებს უტარებს, რომელიც წინასაარჩევნოდ აუცილებლად გაანებივრებს მოსახლეობას მორიგი გაყალბებული ფეიკ-გამოკითხვებით.



**„ლიბერალური ფაშიზმის ნიღაბჩამოხსნილი სახის მქონე ძალას ჩააბარო თუნდაც ჩვენს არჩევნებზე ზედამხედველობის და შეფასების ფუნქცია, ეს უდიდესი დანაშაული იქნება ქართველი ერის წინაშე. არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე გაიფორმო „გამარჯვება“, არც დაელოდო ელექტორალური ნების გამოხატვას, წინასწარ შერაცხო მომავალი პროცესი „გაყალბებად“ – ეს არის ლიბერალური ფაშიზმის მოქმედების ქართული ტაქტიკა. შეეცადო კონკურენტის ფიზიკური ლიკვიდაციით გაიფორმო აპრიორი წაგებულ არჩევნებში სასურველი შედეგი – ეს არის ლიბერალური ფაშიზმის ამერიკული მეთოდები.**

**ამერიკის ისტორიისთვის ნაცადი პრეზიდენტების რეანიმირებას დღეს ვეღარ გადააბრალებ „შემთხვევითობას“ – ეს არის კარგად მოფიქრებული და არაერთი დემოკრატი კონგრესმენის მიერ გაჟღერებული ანონსების ხორცშესხმა. ამჯერად, ღვთის მადლით, განუხორციელებელი – თუმცა, სამწუხაროდ, უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის მსხვერპლშეწირვით.**

**ეს აღარაა მიცვალებული ადამიანების კონგრესში არჩევა, ან სასაფლაოს ბინადართა მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში – ეს არის ლიბერალური ფაშიზმის რეალური, ნიღაბჩამოხსნილი სახე. ამ ძალას ჩააბარო თუნდაც ჩვენს არჩევნებზე ზედამხედველობის და შეფასების ფუნქცია – უდიდესი დანაშაული იქნება ერის წინაშე. ერთ-ერთი ასეთი „მიუკერძოებელი არბიტრი“ NDI-ს სახით, ქართული ლიბერალური ფაშიზმის პარტიულ წარმომადგენლებს ტრენინგებს უტარებდნენ, ხოლო წინასაარჩევნოდ აუცილებლად გაგვანებივრებენ თავისი მორიგი გაყალბებული ფეიკ-გამოკითხვებით“**, – აცხადებს დავით ქართველიშვილი.

**„ჩვენს არჩევნებს რაც შეეხება, იქნება ძალიან რთული არჩევნები, ყველაფერზე წამსვლელები არიან, ამიტომ მაქსიმალური მობილიზაცია და ყურადღებაა საჭირო, რომ არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდეს“, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მედიასთან საუბრისას განაცხადა, როდესაც მას ჟურნალისტმა ტრამპზე თავდასხმაზე ქართული ოპოზიციის რეაქციის კონტექსტში მოსალოდნელ რთულ არჩევნებთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების შეფასება სთხოვა.**

თბილისის მერის თქმით, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საპარლამენტო არჩევნებზე საზოგადოება მარტივ და სწორ არჩევანს გააკეთებს.

**„თავდასხმას რაც შეეხება, სრული კატასტროფაა, რაც ვიხილეთ, საარჩევნო კამპანიის დროს იყო მცდელობა, პრეზიდენტობის კანდიდატის, ყოფილი პრეზიდენტის ლიკვიდაციის. ძალიან მძიმე ფაქტია. ჩვენს არჩევნებს რაც შეეხება, ჩვენ ვიცით, რა ძალასთან გვაქვს საქმე და ვინ არიან ეს ადამიანები, რას წარმოადგენენ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ყველა სიბინძურე და ბოროტება შეიძლება იკადრონ. ძალიან მარტივად არის ყველაფერი. ერთი, გვყავს ქვეყანაში მოღალატეები, აგენტები, აგენტურა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელიც იმართება უცხო ძალებისგან, პირდაპირ, რასაც ავალებენ, ქვეყნის საწინააღმდეგოც რომ იყოს, საერთოდ პრობლემა არ აქვთ,**



**ყველაფრის გამკეთებლები არიან ... ისინი მომხრენი არიან იმისა, რომ ქვეყანაში იყოს მეორე ფრონტი. ჩვენ ხომ გვახსოვს განცხადებები არასამთავრობო სექტორის მხრიდან, გვირჩევნია, პრემიერ-მინისტრის ამ განცხადების მოსმენას, ბომბები ცვიოდეს ქვეყანაშიო. წარმოიდგინეთ, რა ტიპის და რა მსოფლმხედველობის ადამიანებთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, საზოგადოება, ჩვენ, ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი გააკეთებს სწორ არჩევანს. დღეს ყველაზე მარტივი არჩევანი არის გასაკეთებელი – ერთ მხარეს არის მშვიდობა, სიმშვიდე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, წინსვლა, აღმშენებლობა და განვითარება და მეორე მხარეს არის აგენტურა, მოღალატეები, ქვეყნის მტრები და ბოროტი მოძალადეები“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

**ეს აღარაა მიცვალებული ადამიანების კონგრესში არჩევა, ან სასაფლაოს ბინადართა მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში — ეს არის ლიბერალური ფაშიზმის რეალური, ნიღაბჩამოხსნილი სახე. ამ ძალას ჩააბარო თუნდაც ჩვენს არჩევნებზე ზედამხედველობის და შეფასების ფუნქცია — უდიდესი დანაშაული იქნება ერის წინაშე.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# 9 მილიონზე მეტი ევროს სპეცტექნიკა თბილისის საცხოვრებელი გარემოს გასაუმჯობესებლად!

## კახა კალაძემ „თბილსერვის ჯგუფის“ ახალი სპეცტექნიკის წარდგენა გამართა



**თბილისის მერმა კახა კალაძემ შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ახალი სპეცმანქანების პრეზენტაცია გამართა. ევროპული სტანდარტების სპეცტექნიკა, რომელიც მუნიციპალიტეტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, სასესხო შეთანხმების ფარგლებში შეისყიდა, აღჭურვილია სპეციალური დანადგარებით და გამოიყენება სხვადასხვა მუნიციპალური სერვისისთვის – დასუფთავებისთვის, ნარჩენების შეგროვებისა და პოლიგონზე განთავსებისთვის, სანიაღვრე ქსელებისა და გარე განათების გამართულობისთვის.**

**დედაქალაქის მერმა ღონისძიებაზე სიტყვით მიმართა საზოგადოებას.**

„მინდა გავიხსენო 2017 წელი, როდესაც საარჩევნო კამპანიას ვატარებდით. ის შედგებოდა 7 ძირითადი მიმართულებისგან - ერთ-ერთი მთავარი იყო გარემოს დაცვა, ეკოლოგიაზე ზრუნვა. ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემები არსებობდა. გვახსოვს წლები, როდესაც რეკრეაციული სივრცეების, სპორტული მოედნების გასხვისება ხდებოდა და გარკვეული სახის მშენებლობა ხორციელდებოდა. მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაგვიჭირა, პოლიტიკა და მიდგომები შეიცვალა. დღეს, ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ ზრუნვა გარემოზე, ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეკრეაციულ სივრცეებს. მოგვიწია ბევრი გასხვისებული არეალის გამოსყიდვა და იქ მშენებლობის ნაცვლად, პარკები და სკვერები გაკეთდა. ასევე, დავიბრუნეთ გასხვისებული სტადიონები, რომლებიც დღეს ჩვენს პატარებს ემსახურება, რათა ხელი შევუწყოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას“.

დედაქალაქის მერმა ხაზი გაუსვა ეკოლოგიის გაუმჯობესებასა და მყარი ნარჩენების მართვაში სპეცტექნიკის მნიშვნელობას. მანვე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მიღწეული შედეგისთვის.

– როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შესაბამისი ტექნიკის გარეშე შეუძლებელია ამ ყველაფერზე ზრუნვა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

შევიძინეთ 65 ერთეული სპეცტექნიკა. 52 უკვე ადგილზეა. აქ არის სხვადასხვა სახის მანქანები, რომლებიც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩვენი ქუჩები იყოს სუფთა, ნარჩენების დროული, უსაფრთხო და უპრობლემო გატანა მოხდეს დედაქალაქიდან. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს იმას, რომ „თბილსერვის ჯგუფი“ მუშაობდეს ძალიან კარგად, შეფერხებების გარეშე. რა თქმა უნდა, სასიხარულოა, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი შენაძენი გვაქვს, იმიტომ, რომ ეს პირდაპირ აისახება დედაქალაქზე, ამ ქალაქში მცხოვრებლებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოწესრიგებული გარემო, ეკოლოგიაზე კიდევ უფრო ზრუნვა, რეკრეაციული სივრცეების მოწესრიგება და ახლების გაკეთება. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა. მართალია, უკვე არაერთი მსგავსი პროექტი განვახორციელეთ, მაგრამ მხოლოდ ამაზე არ ვჩერდებით და სამომავლოდ ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი. წარმატებებს ვუსურვებ ჩემს ქალაქს, აქ მცხოვრებ ადამიანებს და ყველას, ვისაც ქალაქის განვითარება, წინსვლა და აღმშენებლობა უხარია“, – აღნიშნა თბილისის მერმა.



**მიმართვის შემდეგ კახა კალაძემ მერის მოადგილე ანდრია ბასილაიასთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან და „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელ დავით ფაჩულიასთან ერთად სპეცტექნიკა დაათვალიერა.**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შესყიდული სპეტექნიკის ნაწილი დედაქალაქს წლის ბოლომდე, ეტაპობრივად მიეწოდება. 65 ერთეული სპეცმანქანის ღირებულება დღგ-ს გარეშე 9 564 750 ევროს შეადგენს (დღგ-ს ჩათვლით 11 286 405 ევრო). შესყიდულია სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის ნარჩენების შემგროვებელი სატვირთოები, ქუჩის მექანიკური მხვეტავი მანქანები, ევაკუატორი, ღია სატვირთო ავტომობილი ჰიდრავლიკური ამწით, სატვირთოები ტელესკოპური ამწე კალათით, ასევე, სხვადასხვა ზომის სატვირთო მანქანები თვითმცლელით, სანიაღვრე ქსელების წნევით გასარეცხი კომბინირებული სპეცმანქანები, ასფალტის გადამზიდი სატვირთო, ნარჩენების სატკეპნი კომპაქტორი და სხვა. ევროპული კომპანიების „ივეკოსა“ და „დულევოს“ მიერ წარმოებული სპეცმანქანები აწყობილია იტალიაში, ესპანეთსა და თურქეთში, ერთი კომპაქტორი კი ფინური კომპანია „ტანას“ წარმოებისაა.

გარდა ამისა, დედაქალაქის, კერძოდ, „თბილსერვის ჯგუფის“ ბიუჯეტითაც ხორციელდება სპეცტექნიკის შესყიდვა. 2024 წელს შემოყვანილია 24 ერთეული ახალი სპეცმანქანა, რაც უკვე ემსახურება ქალაქს. ახლო მომავალში ასევე შემოვა 15 ერთეული, ხოლო წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტი ნარჩენების შემგროვებელ კიდევ 10 მანქანას შეიძენს.

# მაინც როგორ უფრთხილდება გარემოს RMG კომპანია?

**ის ფაქტი, რომ RMG კომპანიასთან ფუნქციონირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ანალიზის სამსახური, ჰყავს გარემოს დაცვის საკითხებში დირექტორი, – საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ RMG კომპანია (გენერალური დირექტორი ჯონი შუბითიძე) გულგრილი არ არის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების მიმართ.**

უფრო მეტის მომსწრენიც გავხდით 12 ივლისს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მომქმედმა სამსახურებმა – გარემოს ეროვნულმა სააგენტომ და გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ერთობ საგულისყურო საჯარო განხილვა გამართეს RMG კომპანიის მიერ განსახორციელებელი პროექტისა: „მშრალი კუდების სანაყარის მოწყობისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგდება“.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ცენტრში, სპეციალურად მოწყობილ საზაფხულო კარვის ქვეშ, 100-ზე მეტი მოქალაქის თანდასწრებით, განხილვის პროცესი გახსნა გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა **ქეთევან გლოველმა.**

პროექტის მიზანზე, მის მოცულობასა და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ისაუბრა RMG კომპანიის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ანალიზის სამსახურის უფროსმა **ქეთი ჯინჭარაძემ.** მომხსენებელმა დამსწრეთ ნათლად აუხსნა, თუ როგორ განხორციელდება წარმოდგენილი პროექტის შედეგად სპილენძის გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების (მშრალი კუდების) მართვა ეკომეგობრული და მსოფლიოში საუკეთესო მეთოდის გამოყენებით. „პროექტის მიზანია დაიხვეწოს გეოტექნიკური პროცესი, გამოირიცხოს საშიში ბიოლოგიური მოვლენები, აღმოიფხვრას სატრანსპორტო ნაკადების ზემოქმედება, გავუფრთხილდეთ არქეოლოგიურ არეალებს, შენარჩუნდეს გარემოს ვიზუალური ეფექტი. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ჩვენს გარემოში ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და სიმშვიდის უსაფრთხოებას“ – დასძინა საუბრის ბოლოს ქალბატონმა ქეთი ჯინჭარაძემ.

წარმოდგენილი პროექტის დაკვეთისა და მისი შემსრულებლების, – ყაზახური და კანადური კომპანიების პროფესიონალიზმზე და საიმედოობაზე ისაუბრა RMG კომპანიის დირექტორმა გარემოს დაცვის საკითხებში ბატონმა **მიხეილ კვარაცხელიამ.**

განხილვის დროს, მათთვის საინტერესო შეკითხვებზე დამსწრეებმა შესაბამისი პასუხები მიიღეს.

RMG კომპანიის მიერ გარემოს უსაფრთხოებაზე გამორჩეული ზრუნვა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, დიდად მისასალმებელია, მაგრამ პროექტის შემუშავება და მისი განხილვები შედარებით მარტივია, მთავარია მათი პრაქტიკული განხორციელება. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები. ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

**რაინდი ასლამაზაშვილი,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ. ქვემო ქართლი.**





# ბორჯომელი უფროსკლასელების შესანატრი აქტივობები



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, სოფლების – ტაბაწყური, მოლითი და ბალათა, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის ღონისძიება მოეწყო.**

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და საბჭოს წევრები ე.წ პლატოს ბორბალს ესტუმრნენ, შემდეგ კი, სოფელ ჩითახევში გადაინაცვლეს, სადაც სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში – ფრენბურთი, ზიპლაინი, მშვილდ-ისრის სროლა, კედელზე ცოცვა – მიიღეს მონაწილეობა. საღამოს კი ჯომარდობაშიც აქტიურად ჩაერთვნენ.

მთელი დღის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი, ტაბაწყურის თემის მაჟორიტარი დეპუტატი ანდრუშ ირიციანი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის აღნიშნული სახის აქტივობა, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, 2023 წლიდან იმართება.

აღსანიშნავია, რომ საბჭო აქტიურად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ის მუშაობას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.

**ტიმ სევერინის და ახალი არგონავტების საქართველოში მოგზაურობიდან 40 წლისთავისათვის**

# „არგო 2014 — ლეგენდის გაცოცხლება“



**არგონავტთა მითი – შექმნილი აპოლონიუს როდოსელის მიერ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში, ანტიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ქმნილება – ქართული კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეს მითი არაერთ ბრწყინვალე ლიტერატურულ, მუსიკალურ თუ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს დასდებია საფუძვლად.**

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლიდა,რომ არგონავტთა ამბავი მთლიანად მოგონილია და რომ მიკენურ საბერძნეთში, როცა ბერძნებს ჯერ არ ჰქონდათ ორმოცდაათნიჩბიანი გალერები, შეუძლებელი იყო შავი ზღვის სრუტეების ძლიერი საწინააღმდეგო დინების დაძლევა და ასეთი შორეული ნაოსნობის განხორციელება.

მეორე წყება მეცნიერების მიიჩნევს, რომ არგონავტების მითში ისტორიული სინამდვილე აირეკლა და რომ ბერძნებს უკვე 3300 წლის წინათ შეეძლოთ გასულიყვნენ ოიკუმენის – მათთვის ცნობილი სამყაროს გარეთ და კოლხეთის სანაპიროებისთვის მიეღწიათ.

**ერთი იმათგანი, ვინც არგონავტთა მითს რეალურ ისტორიულ საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნევს, ცნობილი ინგლისელი მოგზაური, მწერალი და მეცნიერი ტიმ სევერინი გახლდათ.**

თავისი ცხოვრების მიზნად ტიმ სევერინმა დაისახა ისტორიის რეკონსტრუქციის, წარსულის მოდელირების გზით, სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული, ფილოლოგიურ-ეთნოგრაფიული და საზღვაო-საინჟინრო პრობლემის გადაწყვეტა.

ასე დაამტკიცა მან, რომ ამერიკის კონტინენტს ვიკინგებზე და კოლუმბზე გაცილებით ადრე, ირლანდიელი ბერები ეწვივნენ, ამის მაგალითია ირლანდიელი ბერის ბრენდანის მოგზაურობა, ჩვენი წელთაღრიცხვით მეექვსე საუკუნეში, ხარის ტყავისაგან გაკეთებული ნავით. სევერინმა ძველი ეტრატებიდან და აღწერებიდან ააგო ასეთი ნავი და ირლანდიიდან ნიუფაუნდლენდამდე გადასერა ატლანტის ოკეანე კოლუმბზე 1000 წლით ადრე.

ასევე დაამტკიცა მან, რომ „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები, სინდბადის შესახებ რეალურ საფუძველს ემყარება: ტიმ სევერინმა აღადგინა შუა საუკუნეების არაბული ხომალდი „სოჰარი“ და მასკატიდან ჩინეთამდე იმოგზაურა.

მას შემდეგ იგი მოგზაურობს ჯვაროსნების გზით ევროპიდან იერუსალიმამდე,

მონღოლეთში მოგზაურობს ცხენით ჩინგიზ ხანის ნაკვალევზე; ძველ ჩინურ ხელნაწერებზე დაყრდნობით; ბამბუკისგან აგებული ნავით, ჩინეთიდან წყნარი ოკეანის გავლით ექვს თვეში აღწევს ამერიკის კონტინენტს; შემდეგ წლებში უჩვეულო მოგზაურობას აწყობს – მელვილის ცნობილი ნაწარმოების ნაკვალევზე გაივლის **მობი დიკის** გზას და 2002 წელს ამოწმებს **რობინზონ კრუზოს** თავგადასავალს კარიბის ზღვაში.

სევერინს მის მოგზაურობებზე გამოქვეყნებული აქვს წიგნები, რომლებმაც მრავალი ლიტერატურული თუ აკადემიური პრემიები დაიმსახურა! ყველა მოგზაურობაზე გადაღებული აქვს ფილმები, ძირითადად ბი-ბი-სისთან თანამშრომლობით. თავადაც მრავალგზის დაჯილდოებულია საპატიო წოდებებით და ორდენებით.



ამას გარდა ბევრი წიგნი აქვს დაწერილი ზღვის მეკობრეებზე, ვიკინგებზე და სხვა. ერთი სიტყვით იგი დაუღალავად ეწეოდა ისტორიული ლეგენდების რეალობის შემოწმება-რეკონსტრუქციას. საერთო ჯამში. მან დაგვიტოვა უამრავი საინტერესო წიგნი, რომლებიც მრავალმილიონიანი ტირაჟით გავრცელდა მსოფლიოში სხვადასხვა ენებზე.

1984 წელს ტიმ სევერინმა **არგონავტების ლეგენდის შესამოწმებლად** ააგო საბერძნეთში „არგო," სპეციალურად მოძიებული ნახაზებით და ხის მასალით, უძველეს ისტორიულ წყაროებში აღწერილი ტექნოლოგიით, ლურსმნების გარეშე. ეკიპაჟის უცვლელი ბირთვი 12 არგონავტი შეირჩა ინგლისშივე, ძირითადად ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების ნიჩბოსნების გუნდიდან, ხოლო დანარჩენი ნაწილი ივსებოდა იმ ქვეყნების სპორტსმენებიდან, სადაც უნდა გაევლო „არგოს". ესენი იყვნენ ჯერ საბერძნეთის, მერე თურქეთის, შემდეგ კი საქართველოს სპორტსმენები.

არგომ სტარტი აიღო საბერძნეთის ქალაქ იოლკოსში. ნიჩბოსნებმა წარმატებით გაიარეს: საბერძნეთის კუნძულები, ეგეოსის და მარმარილოს ზღვები, დარდანელის და ბოსფორის სრუტეები, შავი ზღვის ანატოლიის ნაპირი და 20 ივლისისათვის შემოვიდნენ საქართველოში – ძველ კოლხეთში, სადაც მათ შეუერთდნენ მომზადებული ქართველი ნიჩბოსნები, მათ შორის იყო ჩვენი ტელევიზიის წარმომადგენელი ჟურნალისტი **პაატა ნაცვლიშვილი.**



სსრ კავშირში მოგზაურობის ნებართვის მისაღებად ტიმ სევერინმა მიმართა ნორვეგიელი მკვლევარის ტურ ჰეიერდალის ცნობილი ისტორიული მოგზაურობის მონაწილეს წყნარ ოკეანეში კუნძულ პასხიზე, საბჭოთა ტელევიზიის პოპულარული გადაცემის „მოგზაურთა კლუბის," წამყვანს იური სენკევიჩს, რომელმაც საქმეში ჩართო საკავშირო ტელევიზია. შემდეგ კი არგონავტების დახვედრა საბჭოთა კავშირში დაევალა საქართველოს ტელევიზიას.

ტელევიზიის თავმჯდომარემ ბატონმა **ნუგზარ ფოფხაძემ** საპატიო სტუმრების დასახვედრი ღონისძიებების მოსამზადებლად შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, გაიწერა გეგმა, გამოიყო პასუხისმგებელი შემსრულებლები. და ფართო ფრონტით დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მთელ საქართველოში.

სპორტკომიტეტმა შეარჩია გამოცდილი ნიჩბოსნები, რომლებიც უნდა დამსხდარიყვნენ ნიჩბებზე „არგოზე“ ბათუმში, რომლებმაც დაიწყეს ვარჯიში პალიასტომის ტბაზე.

მეცნიერები და მუზეუმები ამზადებდნენ საჭირო მასალებს საპრეზენტაციოდ.

ტელე-რადიოკომიტეტის რედაქციებმა დაიწყეს პოპულარული გადაცემების მომზადება არგონავტებზე...

რაიონების ხელმძღვანელებს, სადაც უნდა ჩასულიყვნენ არგონავტები, განსაკუთრებული დავალებები დაურიგდათ ქვეყნის პირველი პირიდან.

მაშინ მე ტელევიზიაში ვმუშაობდი და ამავდროულად ვიყავი თბილისის იახტ-კლუბის საკრეისერო იახტის „კოლხეთის“ კაპიტნის თანაშემწე და მე დამევალა ზღვაზე დახვედრის და შემდეგ მდინარე ფაზისზე (რიონზე) არგოს ბუქსირების ხელმძღვანელობა ქალაქ ვანამდე.

ფოთიდან ვანამდე ბუქსირება საკმაოდ მძიმე ამოცანას წარმოადგენდა, მდინარე რიონის მიხვეულ-მოხვეული ნაპირების გამო, რომლებიც წვიმების დროს მკვეთრად იცვლიან ფორმას და სიღრმეებს. ამის შესწავლის მიზნით ჯერ კიდევ მაისში მომიწია რიონის ნაპირების გამოკვლევა ქუთაისელ ჰიდროლოგებთან ერთად ქუთაისიდან - ფოთამდე, მაგრამ წვიმების დროს ეს წინასწარი კვლევა აზრს კარგავდა, რაც დამტკიცდა კიდევაც არგონავტების ბუქსირების დროს..

სტუმრების დასახვედრად **იური სენკევიჩიც** ემზადებოდა და მან ყველასგან მოულოდნელად ჩამოიყვანა დიდი სასწავლო საიალქნო სამანძიანი ორჩხომელი „ტოვარიშჩი“, დაკომპლექტებული ოდესის და ბათუმის საზღვაო სასწავლებლების კურსანტებით და მრავალი ტელე-რადიო და პრესის წარმომადგენლებით. როგორც ყველა მოსკოვიდან ჩამოსულმა „უფროსმა ძმამ“, სინკევიჩმაც მოინდომა არგონავტების დახვედრის ღონისძიებების ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება. არგონავტების ჩამოსვლის წინა დღეს, ბათუმში გაიმართა საკონტროლო თათბირი, სადაც თავისი პრეტენზიები გამოთქვა სენკევიჩმა, რაზედაც ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ უპასუხა, რომ: **„ეს თქვენთვის ერთი მორიგი გადაცემის სიუჟეტია, ჩვენი ხალხი კი ამ მოვლენას 33 საუკუნე მოელის და ყველაფე-**



**რი იქნება ისე, როგორც აქ დაიგეგმა“**, და მეორე დღეს, არგოს საზღვარზე პირველი დახვდა ჩვენი იახტა „კოლხეთი," ზედ სარფის საზღვართან, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა არცერთი მცურავი საბჭოთა საშუალება, მესაზღვრეების გარდა, პირველი ინტერვიუ სევერინთან ჩაიწერა **თენგიზ სულხანიშვილმა** საქართველოს ტელევიზიის პროგრამა **„მოამბისთვის“** და არა საკავშირო ტელევიზიის **„ვრემიასთვის“,** და სევერინს ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ წარუდგინა სენკევიჩი, როგორც მასპინძელმა და არა პირიქით, როგორც ეს სურდა თავად სენკევიჩს.

შემდეგ „ტოვარიშჩზე“ მოეწყო სახელდახელო პრესკონფერენცია და მერე ქართული იახტების თანხლებით „არგო“ მიაცილეს ხალხით სავსე ფოთის ნავსადგურში.

ფოთში მათ მოუწყეს დიდი ხალხმრავალი საზეიმო დახვედრა: საზოგადოების წარმომადგენლებით, მომღერლების ანსამბლებით, წყალზე საბავშვო სპორტული იახტებით და სხვა. მაგრამ ეს არ იყო არგოს მოგზაურობის საბოლოო წერტილი. როგორც აპოლონიუსი იუწყება „არგონავტიკაში," მათ გააგრძელეს გზა ფაზისში და ღუზა ჩაუშვეს მდინარის აღმა **ჭალადიდის ნაპირებთან. აქ ფერადი შაშხანებით აღნიშნეს მათი 2500-მილიანი ნიჩბებიანი გზის დამთავრება, ყველანი ჩაცმულები გადაეშვნენ საბანაოდ მდინარე ფაზისში, ვერ გადაურჩა ამ რიტუალს თავად კაპიტანიც კი. როგორც წინასწარ იყო მოლაპარაკებული, „არგო“ უნდა აგვეყვანა ბუქსირებით ძველ წყაროებში მითითებულ, ოქრომდიდარ ქალაქ ვანამდე.**

მთელი გზა, კოკისპირული წვიმების მიუხედავად, რიონის ნაპირები სავსე იყო ხალხით. დღეში რამდენჯერმე მდინარეზე პატარა ნავებით „არგოსთან" მოცურავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები პურ-ღვინით, ხილით და ყვავილებით, რაც უცხოელი არგონავტების გაკვირვებას და აღტაცებას იწვევდა. აქედან კი რიონის – ძველი ფაზისის, აყოლებით, მეჩეჩების და სხვა სიძნელეების გადალახვით „არგომ“ღუზა ჩაუშვა ვანში, ძველი ოქრომდიდარი კოლხეთის ცენტრში.

აქაც ყველაფერი მზად იყო სტუმრების დასახვედრად. ქორეოგრაფიული და საცეკვაო ანსამბლები. აქ სევერინს დაახვედრეს მომხიბლავი მედეა – თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი **ნუკა პაციტაძე.** მოეწყო შეჯიბრი ჭირითში, რომელშიც



მონაწილეობა მიიღეს სევერინმა და სინკევიჩმა. შემდეგ საპატიო სტუმრებისთვის გაიმართა დარბაზობა. ამის შემდეგ „არგო“ ერთ-ორ არგონავტთან ერთად დატოვეს საიმედოდ მდგარი ვანში და დელეგაციის სხვა წევრები გაემგზავრენ სვანეთში, სადაც მულახში იხილეს ოქროს მოპოვების უძველესი წესი ცხვრის ტყავის საშუალებით მდინარე ლასილურაზე.

სვანეთიდან მობრუნდნენ იმერეთში, შემდეგ ჩამოვიდნენ თბილისში, სადაც სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა სამეცნიერო კონფერენცია, შეხვდნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს **ევგენი ხარაძეს.** ტიმ სევერინი მოიხიბლა ჩვენი სიძვე-

# ვანიდან – ბათუმამდე...



**„იაზონის ნაკვალევზე მოგზაურობა მეტად საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი იყო მეცნიერული თვალსაზრისით. ამ დასკვნამდე მივედი მოპოვებული გეოგრაფიული თუ არქეოლოგიური მასალის შეჯერებით. მე ვიპოვე ოქროს საწმისი, მაგრამ იაზონისგან განსხვავებით, იგი არგოთი კი არა, გულით მიმაქვს. ჩემი ოქროს საწმისი – ეს გახლავთ შეხვედრები თანამედროვე საქართველოს ადამიანებთან, შთამბეჭდავი და დაუვიწყარი შეხვედრები... ვემშვიდობები საქართველოს და ვიტოვებ იმედს, რომ ოდესმე კვლავ დავბრუნდები ამ წარმტაც ქვეყანაში“...**



ლეებით და მეცნიერული მიღწევებით, განსაკუთრებით არქეოლოგიური კვლევებით. დაათვალიერეს მცხეთა, ნოქალაქევი, ნამჭედურის გათხრები ქობულეთთან.

ვანიდან სპეციალურად არგოს ტრანსპორტირებისათვის სამტრედიაში 5 დღეში დამზადებული რკინის კონსტრუქციით, ჩაიტანეს „არგო“ ბათუმში, სადაც მას ელოდა **„ტოვარიში“** სტამბოლამდე ბუქსირებისთვის.

წასვლის წინ სევერინმა ბოლო ინტერვიუში თქვა: **„იაზონის ნაკვალევზე მოგზაურობა მეტად საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი იყო მეცნიერული თვალსაზრისით. ამ დასკვნამდე მივედი მოპოვებული გეოგრაფიული თუ არქეოლოგიური მასალის შეჯერებით. მე ვიპოვე ოქროს საწმისი, მაგრამ იაზონისგან განსხვავებით, იგი არგოთი კი არა, გულით მიმაქვს. ჩემი ოქროს საწმისი – ეს გახლავთ შეხვედრები თანამედროვე საქართველოს ადამიანებთან, შთამბეჭდავი და დაუვიწყარი შეხვედრები... ვემშვიდობები საქართველოს და ვიტოვებ იმედს, რომ ოდესმე კვლავ დავბრუნდები ამ წარმტაც ქვეყანაში“...**

* * *

**გავიდა ხანი.** დადგა XXI საუკუნე. არგონავტების მოგზაურობის დროს მსოფლიოში ჯერ არ იყო გავრცელებული კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებები და ინტერნეტი. როდესაც საქართველოშიც გამოჩნდა ინტერნეტი და გაჩნდა მსოფლიოსთან დაკავშირების საშუალება, აქ ნამყოფ არგონავტებთანაც გაიბა კავშირები. არგონავტებზე საქართველომ დიდი შთაბეჭდილება დატოვა და როდესაც მოახლოვდა მათი ჩამოსვლიდან საიუბილეო 30 წელი, მოვსინჯე ტიმ სევერინთან დაკავშირება და ერთი წლის მიწერ-მოწერის, მრავალი საორგანიზაციო საკითხის, თარიღების და წვრილმანების შეთანხმების შემდეგ, მივიღე მისი თანხმობა იუბილეზე ჩამოსასვლელად ზაფხულში. სხვა არგონავტებთან მე ისედაც მქონდა კავშირები და რომ გაიგეს სევერინის ჩამოსვლის შესახებ, 10 მათგანი დიდი სიხარულით დამთანხმდა ხელმეორედ ჩამოსვლაზე **ინგლისიდან, ირლანდიიდან, ავსტრალიიდან, თურქეთიდან.** ამ ღონისძიებას დავარქვი: საერთაშორისო კონფერენცია **„არგო-2014 – ლეგენდის გაცოცხლება“**, რომელიც ჩატარდება 2014 წლის 30 ივნისიდან 5 ივლისამდე და დაიწყო ინტენსიური ჩემი სირბილი სხვადასხვა ინსტანციებში, წინასწარ მომზადებული ქაღალდებით. პირველ რიგში გვერდში დამიდგნენ ჩემი მეგობრები: **ვალერი ასათიანი, მიშა ლოლაძე, ზურა ჩხაიძე,** ეროვნული მუზეუმის დირექტორი **დავით ლორთქიფანიძე,** სევერინის პირველი მასპინძელი ბატონი **ნუგზარ ფოფხაძე** და სხვები. შევადგინეთ კონფერენციის გეგმა, ვიპოვეთ სპონსორები და შევარჩიეთ საზეიმო ღონისძიებები და მივაღწიეთ იმას, რომ კონფერენცია ჩატარდება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. **ორგანიზატორები იქნებიან:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საერთაშორისო ასოციაცია “კულტურათა დიალოგი XXI”, შპს ”კახური ტრადიციული მეღვინეობა,” და სარეკლამო კომპანია “ტვ+”. კონფერენციის სპონსორები გახდნენ: კომპანია ”კასტელ-ჯორჯია”, კომპანია ”სარაჯიშვილი”, შპს ”თბილისის ზღვის კლუბი”.

სტუმრები დათქმულ დროს ჩამოვიდნენ. საერთაშორისო კონფერენცია **„არგო-2014 – ლეგენდის გაცოცხლება“** გახს-





ნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ლადო პაპავამ.** ტიმ სევერინმა და არგონავტებმა გაიხსენეს მათი მოგონებები საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ტიმ სევერინს გადასცეს მოქანდაკე გია ჯაფარიძის მიერ დამზადებული ნაკეთობა „იაზონი“.




სევერინი დიდი სიამოვნებით შეხვდა უკვე ნაცნობ მეცნიერებს, მეცნიერებათა აკადემიაში, დაათვალიერა ეროვნული მუზეუმის ახალი და ძველი ექსპონატები.

სევერინი ესტუმრა სახელოვან მოქანდაკეს მერაბ ბერძენიშვილს.

შემდეგ სევერინის ახლონაცნობი მეცნიერის, აწ გარდაცვლილი, ბატონი ოთარ ლორთქიფანიძის შვილის, ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძის მოპატიჟებით ეწვია დმანისს, სადაც დაათვალიერა „პირველი ევროპელების“ 1.8 მილიონი წლის წინანდელი უძველესი ზეზვას და მზიას სამარხები.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს კომპანია „კასტელის“ და კახეთში „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ საწარმოები.

გამოთხოვებისას სახელოვანი მოგზაურის საპატივცემულოდ ღონისძიების სპონსორებმა: კომპანია **„თბილისის ზღვის კლუბმა“** და კომპანია **„სარაჯიშვილმა“** ზღაპრული ქართული სუფრა გაუშალეს საპატიო სტუმრებს.

სამწუხაროდ, 2020 წელს სახელოვანი მეცნიერი და დაუღალავი მოგზაური 80 წლის ასაკში გარდაიცვალა მშობლიურ ირლანდიაში. იგი დაკრძალეს კორკის ეკლესიის ეზოში, მისი საყვარელი სიმღერის „SMILE”-ის ფონზე, რომელსაც ასრულებს სახელოვანი მომღერალი **Nat King Cole.** ამ სიმღერაზე აეწყო კლიპი, მისი საქართველოში ორივე მოგზაურობის კადრებით, რომელიც მთავრდება სევდიანი მინაწერით: **„ნახვამდის, სახელოვანო კაპიტანო“.**

ტიმ სევერინის მოგზაურობამ ხელი შეუწყო, საერთაშორისო საზოგადოების კიდევ ერთხელ დაინტერესებას საქართველოს ისტორიით და წარმოაჩინა მსოფლიოში უძველესი კულტურის მქონე დღევანდელი საქართველო.

გამოსათხოვარი სიმღერის **„Smile“** ის ნახვა შესაძლოა: **YouTube-ში – iliaperadze.smile.**

**ილია ფერაძე**





# ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში ქართული ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება!

**2024 წლის 6 თვეში საქართველოდან მსოფლიოს 61 ქვეყანაში ექსპორტირებულია 54,5 მლნ ლიტრი, 156,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაოდენობრივმა 26%, ხოლო შემოსავლების ზრდამ 24% შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**



„ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: პოლონეთი – 19% (3,1 მლნ ლიტრი), აშშ – 53% (654 ათასი ლიტრი), გერმანია – 34% (674 ათასი ლიტრი), დიდი ბრიტანეთი – 28% (182,5 ათასი ლიტრი), კანადა – 110% (121,3 ათასი ლიტრი), თურქეთი – 47% (239,2 ათასი ლიტრი), და ა.შ.

მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 23,4 მლნ ლიტრი სპირტიანი სასმელები, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან 55% შეადგინა. სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან შემოსავლების სახით მიღებულია 132,8 მლნ-მდე აშშ დოლარი (ზრდა 59%)“, – აღნიშნულია ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

# უნგრეთი თავს ქვიშაში არ ყოფს!



**პირველი ივლისიდან, ექვსი თვით, უნგრეთი ევროსაბჭოს ხელმძღვანელია. ბრიუსელი უნგრეთის თავმჯდომარეობისგან ბევრ სიურპრიზს ელოდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოედგინა ის, რაც უნგრეთის ლიდერმა ბოლო ორ კვირაში გააკეთა.** ვიქტორ ორბანმა მიზნად უკრაინასა და რუსეთს შორის მშვიდობის მტრედის როლის შესრულება დაისახა. იგი ორ ივლისს, უკრაინის პრეზიდენტს შეხვდა. ბოლო ათი წლის მანძილზე ეს ორბანის პირველი ვიზიტი იყო კიევში. ცნობილია, რომ ორბანსა და ზელენსკის შორის ურთიერთობა დაძაბულია: ორბანი უკრაინის ლიდერის პოლიტიკას და ომს უკრაინაში კრიტიკულად უყურებს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ უნგრულ-უკრაინული ურთიერთობის ისტორიას არასასიამოვნო მომენტები ახსოვს. ორბანი ხშირად იხსენებს ხოლმე დაძაბულობის მაგალითებს ორ ქვეყანას შორის. მეორე ის, რომ ომმა უნგრეთის ეკონომიკა, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, საგრძნობლად დააზარალა. ომამდე, ევროკავშირისა და ნატოს წევრ ამ ქვეყანას არაჩვეულებრივი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჰქონდა. მან რუსეთთან და ჩინეთთან სასარგებლო თანამშრომლობისთვისაც ბევრი რამ გააკეთა. ამიტომ, სულაც არაა გასაკვირი, რომ ორბანს დასავლეთ-რუსეთის კონფრონტაციის შეჩერება სწადია, მაგრამ ძნელია თქმა, შესძლებს თუ ვერა უნგრეთი ამ მისიის შესრულებას. მოკლედ, ზელენსკისთან მოლაპარაკებების შემდეგ, ორბანი მოსკოვს გაემგზავრა. ამ ვიზიტით ორბანმა პოლიტიკური ტაბუ მოხსნა.

მსოფლიოს ახსოვს რომ, ომის პირველივე დღიდან, დასავლეთმა მოსკოვს ვიზიტების ბოიკოტი გამოუცხადა, რითაც დასავლეთი პუტინის იზოლაციაში მოქცევას ეცადა. ასე რომ, ორბანი პირველი დასავლელი ლიდერია, ვინც ომის დაწყების შემდეგ პუტინს პირადად ეწვია. მის ვიზიტს სამშვიდობო მისია ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ორბანმა პუტინისგან ვერაფერი დამაიმედებელი ვერ მიიღო. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ მხარეთა პოზიციები ერთმანეთისგან შორსაა და ომის შესაჩერებლად ბევრი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, პირველ რიგში, დიალოგი უნდა დაიწყოს, და დღეს, ასეთი დიალოგი შედგა.

ეს დიდი მისია ამ ორი ვიზიტით არ შემოფარგლულა. მოსკოვის შემდეგ, ორბანი ჩინეთის ლიდერს შეხვდა. ჩინეთი საკვანძო ძალაა რუსეთ-უკრაინის ომში სამშვიდობო მოლაპარაკების წინაპირობის შესაქმნელად. ამიტომ ჩამოვედიო პეკინში, განცხადა ორბანმა. ორბანის ვიზიტმა ჩინეთის ლიდერი, ცხადია, გაახარა, რადგან ვიზიტმა დაადასტურა, რომ მსოფლიოს ბედს პეკინიც წყვეტს. ჩინეთმა დაადასტურა, რომ ჭეშმარიტი მშვიდობის დასამყარებლად, დაპირისპირებულ მხარეთა ლიდერებს შორის შეხვედრა გარდაუვალია.

ნატოს სამიტზე დასასწრებად, პეკინიდან, ორბანი ვაშინგტონში გაფრინდა. მანამდე, ორბანმა ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს ვიზიტების შესახებ ოფიციალური წერილი გაუგზავნა. ორბანის არაორდინალური მისია ამით დამთავრდა. ორბანის მიმართ დასავლეთის კრიტიკას ცივად შეხვდა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი: **უნგრეთი თავს ქვიშაში არ ჩაყოფს.** ყველაფერს გააკეთებს, რომ ევროპაში მშვიდობა იყოს. გირჩევთ, ისევ მოემზადოთ უნგრეთისგან სიურპრიზების მისაღებადო, განაცხადა მინისტრმა. ამასობაში, ევროპაში კითხვებს სვამენ: რას ნიშნავდა ორბანის ეს ვიზიტები? მართლა ბრიუსელთან შეუთანხმებლად მოხდა ყველაფერი, თუ ბრიუსელმა ორბანი საიდუმლო მისიით გაგზავნა? გასაკვირია ისიც, რომ ორბანის დელეგაციას თან გერმანელი და შვეიცარიელი ჟურნალისტები ახლდნენ. უკრაინის პრეზიდენტმა ორბანის ვიზიტები ძალიან არ გააკრიტიკა. უბრალოდ, მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მოსკოვზე ორბანის გავლენა: **თქვენ უნდა გქონდეთ ძლიერი ეკონომიკა ან ძლიერი სამხედრო ძალა, რომ გავლენა იქონიოთ რუსეთზე. ბევრია ასეთი ქვეყანა მსოფლიოში? ვფიქრობ, რომ ასეთი მხოლოდ ამერიკა, ჩინეთი და ევროკავშირია. ამასთან, ევროკავშირის არა ერთი რომელიმე წევრი, არამედ მთლიანად ევროკავშირი. მხოლოდ ამ სამ ძალას შეუძლია ასეთი მისიის შესრულება, განაცხადა ზელენსკიმ.**

**ნუგზარ ბ. რუხაძე.**


## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს გოჩა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9 (საკადასტრო კოდი: 32.15.35.021 **http:/naprweb.reestri.gov.ge/-/search)**

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 29 ივლისი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100456724;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1004567

**6. მოვალე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100456724; ლოტის ნომერი: 1004567).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 29 ივლისის 12:00 საათამდე.



## განცხადება

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ნათელა კანჭიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12 (საკადასტრო კოდი: 55.12.75.000.124)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 17 ივლისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 29 ივლისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100456624;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1004566

**6. მოვალე:** ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12;
ივანე ბუთიაშვილი (პ/ნ 45001032659), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12.

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100456624; ლოტის ნომერი: 1004566).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 29 ივლისის 12:00 საათამდე.

# 6 თვეში - 3 მილიონზე მეტი მგზავრი

**2024 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს აეროპორტებმა 3 220 599 მგზავრს მოემსახურა, რაც 30%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში მიღებული მგზავრების**




**რაოდენობას და 29%-ით მეტია 2019 წლის იანვარ-ივნისში მიღებული მგზავრების რაოდენობაზე. ამავე საანგარიშო პერიოდში საქართველოში 2 მილიონზე მეტი ტურისტული ვიზიტი დაფიქსირდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ით მეტია. ტურისტული ვიზიტები იზრდება როგორც ევროკავშირის ქვეყნებიდან, ასევე სპარსეთის ყურიდან და ახალი ტურისტული ბაზრებიდან – ინდოეთიდან და ჩინეთიდან.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ტურიზმისა და სამოქალაქო ავიაციის ინდუსტრიები ზრდადი დინამიკით გამოირჩევიან.

მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 14 682 ავიარეისი შესრულდა. 2023 წლის პირველ ექვს თვესთან შედარებით ფრენების ზრდამ 33%-ი შეადგინა, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით – 20.

2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს აეროპორტებში 54 ავიაკომპანია 105 საჰაერო ხაზზე ოპერირებს.

# უწყებათაშორისი სწავლება „პარტნიორი 2024“ დასრულდა

**საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ორგანიზებით, უწყებათაშორისი სწავლება „პარტნიორი 2024“ საჩვენებელი სწავლებით დასრულდა.**

წვრთნები საგანგებო მდგომარეობისა და კრიზისული სიტუაციების დროს უწყებათაშორისი კოორდინაციის დახვეწასა და გაღრმავებას ისახავდა მიზნად. საჩვენებელი სწავლება დივერსიული მოქმედებების აღკვეთასა და შესაბამისი მხარდამჭერი მოქმედებების განხორციელებას ითვალისწინებდა.



„პარტნიორი 2024“-ში თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიისა და სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეები, ასევე, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სწავლებაში ჩართულები იყვნენ სამხედრო პოლიციის სამხედრო მოსამსახურეები და მოხალისეთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. უწყებათაშორისი სწავლების მხარდაჭერას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ახორციელებდნენ. სწავლებაში დამკვირვებლის სტატუსით პოლონეთის ტერიტორიული თავდაცვის ძალებისა და ლიეტუვის ეროვნული თავდაცვის მოხალისეთა ძალების, ასევე, აშშ-ის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის (ODC) წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სწავლება ხელვაჩაურისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში კრიზისულ სიტუაციებში რეალურთან მიახლოებული სცენარის მიხედვით მიმდინარეობდა. საჩვენებელი სწავლება სიმულაციური სცენარის მიხედვით ხანძარზე და წყალდიდობაზე რეაგირების ოპერაციებს მოიცავდა.

უწყებათაშორისი სწავლება „პარტნიორი 2024“-ის დახურვის ცერემონიას თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი პირები, ასევე, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

# კოჯორში „ჯარის ბანაკი“ აქტიურად მიმდინარეობს

**კოჯორში, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში პროექტი - „ჯარის ბანაკი“ აქტიურად მიმდინარეობს. საზაფხულო ბანაკი მორიგ ნაკადს მასპინძლობს. კოჯორში იმყოფებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებიც.**

ეროვნული გმირების სახელობის ოცეულებში გადანაწილებულ მოსწავლეებს დღის განმავლობაში თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებათ. გუნდური შეჯიბრებები ტარდება იარაღის დაშლა-აწყობაში, პნევმატური იარაღით მიზანში სროლასა და დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში. პროექტის განმავლობაში მოსწავლეები შეისწავლიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, თვითგადარჩენას, საცეცხლე მომზადებას, ტოპოგრაფიას, სამხედრო ნავიგაციასა და სხვა დისციპლინებს.



პროექტი ახალგაზრდა თაობაში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და ქართული ჯარის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას ისახავს მიზნად.

# სტაჟირებაც ანაზღაურებადი იქნება!

**თბილისის მერიაში მაგისტრატურის საფეხურის წარმატებული სტუდენტების დაფინანსების მიზნით, განაცხადების მიღება იწყება.**

საქართველოს მთავრობამ კურსდამთავრებულთა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა შეიმუშავა.

პროექტის დეტალები, საკონკურსო პირობები, ვადები და შერჩევის კრიტერიუმები პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის წევრებთან შეხვედრაზე განიხილა.

პრემიერმა ხაზი გაუსვა მკაფიო საკონკურსო კრიტერიუმების განსაზღვრის აუცილებლობას, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ახალგაზრდებს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის საშუალება ექნებათ.

პროექტის დეტალებზე პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება, რის შემდეგაც კონკურსი გამოცხადდება. პროგრამა 3 000-ზე მეტ კურსდამთავრებულს საჯარო სამსახურში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესაძლებლობას მისცემს.

# თამბაქო გაძვირდება!

**თამბაქოს წარმოების სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი 350 000 ლარი იქნება!**

**შესაბამისი ცვლილებები პარლამენტში უკვე ინიცირებულია და მას დაჩქარებული წესით განიხილავენ.**

პროექტის მიხედვით, თამბაქოს წარმოების ლიცენზირების წესი და პირობები საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება.



– თამბაქოს წარმოების დარგში ჯანმრთელობისთვის საშიში ნედლეულის გამოყენების შემცირებისთვის აუცილებელია თამბაქოს წარმოების პროცესის და, ზოგადად, აღნიშნული დარგის გაჯანსაღება-გაძლიერება. მაღალტექნოლოგიური გადამმუშავებელი ინდუსტრიის მქონე მწარმოებლების მიერ თამბაქოს წარმოება მწეველთა ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს საგრძნობლად ამაღლებს, მაშინ როდესაც თამბაქოს არაკეთილსინდისიერი მწარმოებლების მიერ წარმოება მწეველთა ჯანმრთელობისთვის უდიდეს რისკს ქმნის. სწორედ აღნიშნული მაღალი სტანდარტის მისაღწევად საჭიროა, თამბაქოს წარმოება ლიცენზირებადი საქმიანობა გახდეს.

# ქართული ღვინისა და კერძების მასტერკლასები ლონდონში

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ლონდონში, The National Geographic Traveller Food Festival 2024-ზე წარდგება. საერთაშორისო გასტრონომიულ ფესტივალზე, „მასტერკლასის თეატრში“ ქართული ღვინისა და კერძების მასტერკლასების 4 სესია გაიმართება.**

ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს სტენდზე, ორი დღის განმავლობაში, ღვინის დეგუსტაცია მოეწყობა.

ფესტივალში ქართველი შეფები და სომელიეები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ქართულ კერძებსა და ღვინოს გააცნობენ მონაწილეებს. The National Geographic Traveller Food Festival 2024-ზე ქართული მრავალფეროვანი სამზარეულო და ქვევრის ნატურალური ღვინო იქნება წარმოდგენილი.

20 და 21 ივნისს ცნობილი შეფები გურამ ბაღდოშვილი და თეკუნა გაჩეჩილაძე ფესტივალის მონაწილეებს ქართულ ტრადიციულ და თანამედროვე კერძებს გააცნობენ, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ირაკლი ჩოლობარგია კი ქართული ღვინის დეგუსტაციას მოაწყობს.

ფესტივალის მონაწილეები ქართულ ღვინოსთან ერთად ქართულ სამზარეულოს, იუნესკოს კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს გაეცნობიან.

The National Geographic Traveller-ის გასტრონომიული ფესტივალი მთელი მსოფლიოდან პოპულარულ შეფებსა და კულინარიის ექსპერტებს მასპინძლობს.




ეს ფესტივალი 2019 წლიდან ტარდება. ფესტივალში წელს 50-მდე ორგანიზაცია და კომპანია, 60-მდე შეფი, სპიკერი და ავტორი მონაწილეობს მთელი მსოფლიოდან. ლონდონის ფესტივალს 6 ათასზე მეტი სტუმარი დაესწრება.

# საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ – აღმოსავლური ხელოვნების საგანძურის გამოფენას სტატია მიუძღვნა

**მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება – The Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland – ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების მიერ განხორციელებულ უნიკალურ გამოფენას დადებითი შეფასებით ეხმაურება.**

გამოფენამ, რომელიც საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** და საზოგადოების პრეზიდენტმა **გიორგი კალანდიამ** გახსნეს, ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. „წარმოდგენილმა შესანიშნავმა ექსპონატებმა დამთვალიერებელი მისტიკის, მშვენიერებისა და ისტორიული მნიშვნელობის სამყაროში გადაიყვანა,“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

სტატიაში საუბარია ხელოვნების სასახლის აღმოსავლური კოლექციის უნიკალური არტეფაქტების მეშვეობით აღმოსავლურ სამყაროსთან კავშირის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

სტატიაში ვხვდებით გამოფენის ამსახველ კადრებსა და ექსპონატთა ფოტოებს.

საზოგადოება 2023 წელს დაფუძნდა და მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის კვლევასა და საერთაშორისო დონეზე მის პოპულარიზაციას. სწორედ საზოგადოების სადებიუტო წარმატებული პროექტია აღმოსავლური ხელოვნების კოლექციის გამოფენა. გამოფენის გახსნასთან ერთად გამოიცა კატალოგი „ხელოვნების სასახლის აღმოსავლური კოლექცია“.

პროექტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით და ხელოვნების სასახლისა და საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების ძალისხმევით განხორციელდა.

◎ მოვლენის შემდეგ

# ღირსეული აპოთეოზი

**მახსოვს პირველად სასწავლებელში წასაყვანადა რომ მომამზადესო, ხომ გახსოვთ?**

ჰოდა, გერმანიაში დასრულდა რიგით მე-17, მაგრამ ჩვენთვის ისტორიული სადებიუტო ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, სადაც ქართულმა ნიჭმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და უკვე თამამად ვამბობთ: ჩვენ მოვედით!

აბა, ხუმრობა ხომ არ არის – პირველივე ცდაზე გვყავს ოქროს ბუცის მფლობელი, სეივების რეკორდსმენი და დრიბლინგების დიდოსტატი, აგრეთვე ბურთის ართმევაში, პოდკატებსა და დისტანციის დაფარვაში ლიდერები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ **ვილი სანიოლმა** შექმნა მომავლის გუნდი, რომელმაც ქართველ გულშემატკივარს ეროვნული ნაკრების მაისური ამაყად ჩააცვა და სხვათა საქომაგოდ ფან-კლუბებსა თუ ლუდის ბარებში კი აღარ იკრიბება, არამედ სახელმწიფო ჰიმნს ჯვაროსნებთან ერთად უკვე უცხოეთის სტადიონების ტრიბუნებიდან აგუგუნებს. და კიდევ – ქართული ნაკრების მაისურებით აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებენ!



არანაკლებ აღსანიშნავია ოფიციოზის, ბიზნესის, ფედერაციის, სტაფისა და თვით ბიჭების სამაგალითო ერთიანობა, რომელშიც ბზარის გაჩენაც უშედეგოდ სცადა კონსტიტუციიდან გასულმა პრეზიდენტმა, მაგრამ იქ, სადაც ძალა ერთობაშია, ძალაუფლებით დაბანგული უმაღლესი მთავარსარდალიც კი უკან იხევს და ეს შემთხვევა გაკვეთილად უნდა იქცეს ყველასათვის, ვისაც მსგავსი უსაფუძვლო ამბიციები გაუჩნდება.

ნურავის დაავიწყდება, რომ 18 ნოემბერს ტაშკენტის ტრიუმფის 60 წლისთავი სრულდება და ამ ხელიხელსაგოგმანებელი საიუბილეო თარიღის საკადრისად აღნიშვნა ღირსების საქმეა, ის კი ამთავითვე სათქმელია, რომ სახელოვან წინამორბედთა მემკვიდრეებმა უფროს თაობას მადლიერების ნიშნად მართლაც რომ მეფური საჩუქარი უძღვნეს.



დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ – გაგრძელება, თანაც გაცილებით ხმაურიანი, აუცილებლად იქნება და ეს მხოლოდ ჟურნალია!

რაც შეეხება თვით ფორუმის დასკვნით აკორდს, ესპანეთმა ზედიზედ მეორე ფინალი ჩაამწარა ინგლისს – 2:1 და მეოთხე ტიტულით ძველი სამყაროს რეკორდსმენი გახდა. ფურია როხას ტრიუმფი რომ სავსებით ლოგიკურია, მის მიერ განვლილი გზაც მოწმობს – ტურნირის განმავლობაში პირენეელებმა ერთბაშად 4 მსოფლიოს ჩემპიონი დასცეს – იტალია, მასპინძლები, საფრანგეთი და ფეხბურთის სამშობლო, აგრეთვე მრისხანე ხორვატეთი და საკმაოდ კერკეტი კაკალი ალბანეთი, მომავალ გვირგვინოსანს კი პირველი გოლი ჩვენ გავუტანეთ. კარგი იქნება, თუ შემდგომი პროგრესის უზრუნველსაყოფად ესპანელთა გამოცდილებას გავიზიარებთ, რომლებმაც მართვის სადავეები იმ ლუის დელაფუენტეს ჩააბარეს, ვინც აწყობილი სისტემა ჯერ 19 და 21-წლამდელთა ასაკობრივი ნაკრებების ევროპულ ოქროებად, შემდეგ ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლად და ჩაროზად – ევრო – 2024-ის მწვერვალად აქცია. დიახ, წლევანდელი უძლეველი არმადის ბირთვი უკვე წლებია ერთად მოდის, ასე რომ, წარმატების საიდუმლოც ამოხსნილია.

გასათვალისწინებელია ტრავმების ფაქტორიც, რომელიც ესპანელებმა უპრობლემოდ დაძლიეს. თანაც, ჩვენ ვსაუბრობთ საკვანძო ფიგურებზე – პედრი, როგორც მოგეხსენებათ, გერმანიასთან მეოთხედფინალური მატჩის დასაწყისშივე გამოაკლდა პარტნიორებს, ხოლო კიდევ ერთი კრეატიული ნახევარმცველი როდრი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ფინალური შეხვედრის შესვენებაზე გახდა შესაცვლელი. დავძენთ, რომ ევრო 2028-ს ირლანდია უმასპინძლებს.

პარალელურად, შტატების სტადიონებზე დრამატულ ბრძოლაში დასრულდა კოპა ამერიკა, სადაც ყველას მე-16-დ აჯობა არგენტინამ და ურუგვაის გაუსწრო, რომელსაც აქტივში 15 ტიტული დარჩა.

კოლუმბიასთან გადამწყვეტი შეხვედრის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, როცა 112-ე წუთზე თავისი მე-5, თანაც ოქროს გოლი ლაუტარო მარტინესმა გაიტანა.

რაც შეეხება ლეო მესის, მან ტრავმა მიიღო და 66-ე წუთზე შეცვალეს. 45-ე წოდებით ის მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი გახდა!

◎ ხუთი რგოლი

# გზა დაელოცოთ!

**ერთი კვირაც და დაიწყება სპორტული სეზონის გვირგვინი – პარიზის ოლიმპიური თამაშები, გუშინ კი სეოკ-ში გაიმართა ფიცის დადებისა და ქართული 28-წევრიანი დელეგაციისათვის გზის დალოცვის საზეიმო ცერემონიალი.**

როგორც შევიტყვეთ, ჯვაროსანთა მედროშეები ცოცხალი ლეგენდები – **ნინო სალუქვაძე** და **ლაშა ტალახაძე** იქნებიან, ხოლო თვით საფრანგეთის დედაქალაქში, სადაც ჯერაც არ ჩამცხრალა ემოციები ევროპარლამენტისა და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს სკანდალური არჩევნების შემდეგ, მოვლენები ერთობ საინტერესოდ ვითარდება.




უპირველესად აღსანიშნავია უმნიშვნელოვანესი ფორუმის გახსნის ეპიცენტრის – მდინარე სენას დაბინძურების აღმოსაფხვრელად გატარებულ ღონისძიებათა დასრულების ხანგრძლივი პროცესი. იმის საილუსტრაციოდ, რომ ვითარება გამოსწორებულია, საკონტროლო გაცურვა თვით ქვეყნის სპორტის მინისტრმა განახორციელა.

არანაკლებ აქტუალურად გამოიყურება კონდიცირების საკითხი, რამაც ოლიმპიური სოფლის ბინადართა სოლიდური ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია და ზოგიერთმა სახელმწიფომ პროტესტის ნიშნად დისლოკაცია-განთავსების ლოკაციის შეცვლაც კი არ გამორიცხა. არადა, როგორც ირკვევა, ორგანიზატორებს ვენტილაციის სისტემა იატაკის ქვეშ დაუმონტაჟებიათ და ისინი ირწმუნებიან, რომ პრეტენზიები უსაფუძვლოა.

ზემოთ მდინარე სენა ვახსენეთ და როგორც გახსოვთ, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ მწვავედ განიხილებოდა თამაშების განმავლობაში და განსაკუთრებით სწორედ საზეიმო გახსნის ცერემონიალზე უსაფრთხოების ზომების გამკაცრების ვარიანტი. წარმოიდგინეთ, რამხელა ჟღერადობას შეიძენდა ეს საკითხი სლოვაკეთსა და ამერიკაში განხორციელებული პოლიტიკური სურნელით გაჯერებული თავდასხმების შემდეგ.

და ბოლოს: ოლიმპიურმა ჩირაღდანმა უკვე იმოგზაურა მულენ რუჟის, ვერსალის, მონმარტრისა და პარიზის სხვა ღირსშესანიშნაობათა სიახლოვეს.

მოკლედ, რამდენიმე დღეც და!..

# ორიოდე სიტყვით

**რაგბი**

**სამხრეთ აფრიკა.** 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველო – ფიჯი 40:36. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს და მე-9 ადგილისთვის იტალიას შეხვდებიან, რომელსაც ჯგუფური რაუნდის მატჩი უკვე მოუგეს.

**ჭადრაკი**

**ბათუმი.** მე-8 ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი აჭარის დედაქალაქის მუნიციპალიტეტის თასზე (საპრიზო ფონდი – 52 ათასი ლარი). მთავარი ტურნირი – 37 მონაწილე 9 ქვეყნიდან. **ბრინჯაო** – თორნიკე სანიკიძე (6,5 ქულა).

დღეს ფოთში მე-16 საერთაშორისო ფესტივალი იწყება **ნანა ალექსანდრიას** თასზე.

**ჩოგბურთი**

**საფრანგეთი.** ქალთა 125 000-იანი ტურნირი. წყვილთა თანრიგი. **ოქრო** – ოქსანა კალაშნიკოვა – ირინა შიმანოვიჩი (ბელარუსი).

**წახკაძორი (სომხეთი).** 18-წლამდელ გოგონათა საერთაშორისო ტურნირი. **ვერცხლი** – ნიტა სხილაძე.

**ინგლისი.** უიმბლდონი ფინალი ალკარასი (ესპანეთი) – ჯოკოვიჩი (სერბეთი) 3:0.

**გატუტზე ხტომა**

**კოიმბრა (პორტუგალია).** ტრადიციული ფესტივალი ჯიმ ფესტი. **ოქრო** – საქართველოს ნაკრები (12-წლამდელთა გუნდური ჩათვლა), მარიამ გაბრიაძე (ამავე ასაკის ინდივიდუალური ტურნირი), ლუკა ლომთათიძე (14-წლამდელები). **ვერცხლი** – ქრისტინა პლეხანოვა (12-წლამდელები), გიორგი დელიბაშვილი (12-წლამდელები), ნინო ქორიძე (14-წლამდელები). **ბრინჯაო** – მაია ბოჭორიძე (16-წლამდელები). ჯვაროსნები მოამზადეს მთავარმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა და მწვრთნელებმა ზურაბ კიკნაძემ, როზა გერიკაშვილმა, ინგა მენთეშაშვილმა, ხათუნა კოკობინაძემ, იდა ბაბასიანმა და სალომე ბოდაველმა, ხოლო ამ უკანასკნელმა ირმა სოლოღაშვილთან და ოლიმპიურ პარიზში კარიერაში მესამედ მიწვეულ რუსუდან ხოფერიასთან ერთად იმსაჯა კიდევაც.

**ძიუდო**

**დებრეცენი (უნგრეთი).** ევროპის უნივერსიადა. **ოქრო** – გიორგი ახალაური (73 კგ).



# შეიქმნება დნმ-ის მონაცემთა ბაზა




**შესაბამისი ცვლილებები პარლამენტის ბიუროს 15 ივლისის სხდომაზე მოხდა. დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნის ინიციატივა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. უწყების ცნობით, დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნა დანაშაულის პრევენციას, დანაშაულის გახსნისა და გამოძიების, აგრეთვე დაკარგულ პირთა იდენტიფიკაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.**

კანონის პროექტით ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირებას დაქვემდებარებული პირები განისაზღვრება. კერძოდ, პროექტის გათვალისწინებით, სავალდებულო იქნება ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა ბიოლოგიური ნიმუშის პროფილირება, დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მიზნით.

დნმ-ის მონაცემთა ბაზაში ასევე აისახება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე ფიზიკური პირისგან, გვამისგან, შემთხვევის ადგილიდან ან სხვა მატერიალური საგნიდან განსაზღვრული გენეტიკური პროფილები.

კანონპროექტის თანახმად, დასაშვები იქნება ნებისმიერი პირის გენეტიკური პროფილის დნმ-ის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია, მისივე თანხმობით.

კანონპროექტი გენეტიკური პროფილის შენახვის ვადებსაც განსაზღვრავს. პროექტის გათვალისწინებით, გენეტიკური პროფილი ინახება შემდეგი ვადით: – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის – 75 წლით; მძიმე დანაშაულისთვის – 50 წლით; ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის – 30 წლით; დანაშაულის რეციდივისთვის – 75 წლით; არასრულწლოვანი მსჯავრდებულის: განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის – 30 წლით; მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის – ათი წლით; დანაშაულის განმეორებით ჩადენისთვის – 75 წლით. პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი გენეტიკური პროფილი გარდაცვალებიდან ათი წლის ვადით შეინახება.

# მართლაც სავალალო სტატისტიკა

**საქართველოში გასულ წელს უგზო-უკვლოდ 149 ადამიანი დაიკარგა. 89 მოიძებნა, მათ შორის 16 გარდაცვლილია ნაპოვნი**

**საქართველოში გასულ წელს უგზო-უკვლოდ 149 ადამიანი დაიკარგა, რომელთაგან 89 მოიძებნა, მათ შორის 16 გარდაცვლილია ნაპოვნი – 60 პირი კვლავ დაკარგულად ითვლება.**

2023 წელს დაკარგულ პირთა სტატისტიკა რეგიონების მიხედვით ასეთია: თბილისი – 54, მოიძებნა 35; ქვემო ქართლი – 6, მოიძებნა 4; კახეთი – 21, მოიძებნა 17; შიდა ქართლი 7, მოიძებნა 1; სამცხე-ჯავახეთი 2, მოიძებნა 2; გურია – 5, მოიძებნა 3; მცხეთა-მთიანეთი 6, მოიძებნა 1; იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი – 20, მოიძებნა 4; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 24, მოიძებნა 21; აჭარა – 4, მოიძებნა 1; აფხაზეთი 0.

2023 წელს დაკარგულთა შორის ყველაზე მეტი 65 ადამიანი (მოიძებნა 35; 10 გარდაცვლილი) 25-45 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია; 18 წლამდე – 17 პირი (მოიძებნა 11; 0 გარდაცვლილი); 18-24 წელი – 13 (მოიძებნა 9; 1 გარდაცვლილი); 45-60 წელი – 35 (მოიძებნა 14; 1 გარდაცვლილი); 60 წელზე მეტი ასაკის – 19 (მოიძებნა 4; 4 გარდაცვლილი);

გასულ წელს დაკარგულ მოქალაქეებს შორის 135 პირი საქართველოს მოქალაქეა (81 მოიძებნა, 15 გარდაცვლილია), 14 კი უცხო ქვეყნის – (8 მოიძებნა, 1 გარდაცვლილია).

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2023 წელს ასევე იპოვეს 46 პირი, რომელიც გასულ, 1973-2022 წლებში იყო დაკარგული.

**რაც შეეხება ჯამურ მონაცემებს, 1973 წლის 1იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით – ამ პერიოდში საქართველოში სულ 6571 ადამიანი დაიკარგა. ამავე პერიოდში მათგან მოიძებნა 5549, მოსაძებნი კი დარჩა 1022 ადამიანი.**

# პათოლოგიური მოძალადენი მომრავლდნენ!!!

**მოტყუება, მუქარა, შანტაჟი და ინტიმური ფოტოების გავრცელება – ინტერნეტ მოძალადეების ხელწერა ერთია – ისინი არასრულწლოვანებს შიშველი ფოტოების გადაღებას და სოციალურ ქსელში გაგზავნას აიძულებენ, შემდეგ იწყება შანტაჟი.**

ბოლო მონაცემებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური 331 ასეთ საქმეს სწავლობს, საიდანაც 84 შემთხვევაში დაზარალებული არასრულწლოვანია! მათ შორის არიან 12-13 წლის ბავშვებიც. ასეთი საფრთხის წინაშე, შესაძლოა, არაერთი მოზარდი აღმოჩნდეს.

ამ არასრულწლოვანებთან ერთად, საქართველოში ინტერნეტ-მოძალადის მსხვერპლი 100-მდე მოზარდია.

**დანაშაულის ადგილი, ყველა შემთხვევაში, სოციალური ქსელია, სქემა კი იდენტური – მოძალადე მამაკაცები პოტენციურ მსხვერპლს ჯერ გაცნობას, შემდეგ კი ვირტუალურ სამყაროში ინტიმურ ურთიერთობას სთავაზობენ. ამის შემდეგ იწყება მუქარა და შანტაჟი.**

ფრთხილად, ბავშვებო, მშობლებო და ბებო-პაპებო, ინტერნეტმოძალადენი პათოლოგიური ავადმყოფები არიან და არ ენდოთ!

თუ ოჯახები, მთელი საზოგადოება ყურადღებით იქნება, ეს ავადმყოფები ამდენს ვერ გაბედავენ!

დროულად დაურეკეთ პოლიციას!




# დამსვენებელს გულმა უღალატა

გათუმში, ზღვაში კაცი შეუძლოდ გახდა და ნაპირზე გამოსული, სავარაუდოდ, გულის შეტევით გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ის უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო.

ამ წუთებში, ცხედარი ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშია გადასვენებული.

# ტრაგედია ბათუმში

ბათუმში, კორპუსის მე-6 სართულიდან 2 წლამდე ბავშვი გადმოვარდა და გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაცია „კვირას“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

უწყების ცნობით, ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

# ხანძარს ახალგაზრდა კაცი ემსხვერპლა



**თბილისში, წმინდა ბარბარეს დასახლებაში, საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს 30 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა.**

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აცხადებენ, ხანძარი უკვე ლიკვიდირებული, მისი გამომწვევი მიზეზი კი ჯერჯერობით უცნობია.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **რუსთავის მუნიციპალიტეტში შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 30 ივლისი, 12:00 საათი, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: კოსტავას გამზირი N20), 2024 წლის 30 ივლისი, 15:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 6 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 9 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **რუსთავის მუნიციპალიტეტში შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 29 ივლისი, 12:00 საათი, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის.: კოსტავას გამზირი 20), 2024 წლის 29 ივლისი, 15:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაზაქენდის საჯარო სკოლის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 8 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# ვაზიანი-გომბორი-თელავის გზაზე მოძრაობა შეიზღუდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით,** შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის კმ27-კმ60 (სოფ. სასადილო-სოფ.შუამთა) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების გამო, 2024 წლის 15 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, საავტომობილო გზის კმ27-კმ60 მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება.

დროის აღნიშნულ მონაკვეთში, ყოველი პარასკევის 15:00 საათიდან ორშაბათის 10:00 საათამდე მსუბუქი ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალი იქნება.

# Art-გენი ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის თეატრონზე...



**არტ-გენის პირველი რეგიონული ტურნე ზესტაფონში, სოფელ ცხრაწყაროში, ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის სახელობის თეატრონზე გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში ამფითეატრის ტერიტორიაზე მოეწყო ქართული ღვინისა და კულინარიის კუთხეები, მრავალფეროვანი დასასვენებელი სივრცეები, გამოფენა-გაყიდვა.**

რეგიონული ტურნე ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების საკონცერტო პროგრამით გაიხსნა. დასკვნითი კონცერტი ბენდმა „ჩვენებურები“, CACA FRANI და REGGAON გამართეს. ფესტივალს იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ზესტაფონის მერი ვასილ გველესიანი, საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ღამბაშიძე, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფესტივალის მიმდინარეობისას, სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანზე ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის ტრანსლაცია გაიმართა. არტ-გენის ფესტივალი ოცდამეერთეღ იმართება საქართველოში. ფესტივალის მიზანია ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია და მისი გაცნობა საზოგადოებისათვის.



# ფესტივალი პოლიკარპე ხუბულავას მიეძღვნა



**პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და“ ჯიხაშკარში, მის მშობლიურ სოფელში გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ.**

პოლიკარპე ხუბულავას 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ლოტბარის ჩანაწერების აუდიო-ვიდეოდისკის პრეზენტაცია გაიმართა.

ფესტივალს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი გრეტა წიწავა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფესტივალი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

# მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებულია

**„წლის საუკეთესო რეგიონული თანამშრომლობა 2024“- პროექტის ფარგლებში პირველი ადგილი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის თანამშრომლობამ მოიპოვა პროექტით – „ინოვატორთა კლუბი – ციფრული კომპეტენციების განვითარება“.**

დაჯილდოების ღონისძიებას მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ბაჯაძე ესწრებოდა.

პროექტი პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამის) მხარდაჭერით გაიმართა.

# ალმანახი, რომელიც სრულიად საქართველოს მოიცავს...

**გამოვიდა** ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ III ნომერი.

რუბრიკაში „მხატვრული ლიტერატურა“ იბეჭდება **ფარნა რაინას, გიორგი ზუზიტაშვილის, აკაკი ბიძინაშვილის, ნესტან ღამბაშიძის, ანა მანოშვილის** ლექსები; **როლანდ გიორგაძისა** და **მარიამ ძამუკაშვილის** მოთხრობები.

რუბრიკით „დოკუმენტური პროზა“ ქვეყნდება **ელგუჯა თავბერიძის** „სადაც არ ელი...“ და „უწრფელესი ჩივილი“.

„ბავშვებისთვის საკითხავის“ რუბრიკით წაიკითხავთ **ნინო მზესელის** საბავშვო მოთხრობას.

„თარგმანის“ რუბრიკაში გაეცნობით **ედნა სენტ ვინსენტ მილეის** ლექსს. თარგმნა **ნინო ძამუკაშვილმა**.

რუბრიკაში „ინტერვიუ“ იბეჭდება ინტერვიუ **გიორგი ბუნდოვანთან.**

„კრიტიკა პუბლიცისტიკის“ რუბრიკაში ქვეყნდება **როინ ჯიკაძის, იკა ქადაგიძის, ზაალ გოტკოველის, ნინო დარგაისელი სტრონის** წერილები.




ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილია გურამ რჩეულიშვილის პოსტერი. მხატვარი **სოფიო ჯელიძე**.

ჟურნალის ეს ნომერი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ ხელშეწყობით.

# „ტიტანიკს“ არ ეშვებიან!

**ექსპერტების, მეცნიერებისა და ისტორიკოსების ჯგუფი დღეს ტიტანიკის ჩაძირვის ადგილის ყველაზე დეტალური ფოტო-რუკის შედგენას შეუდგება. ამის შესახებ BBC წერს.**

გამოცემის ინფორმაციით, ექსპედიციას ამერიკული კომპანია RMS Titanic Inc ატარებს. სპეციალისტები ოკეანეში ლოჯისტიკურ გემზე Dino Chouest, რომელიც მათთვის ერთგვარი ოპერაციული შტაბი გახდება. სწორედ იქიდან ჩაუშვებენ ფსკერზე ორ რობოტიზებულ აპარატს, რომლებიც „ტიტანიკს“ მაღალი ხარისხის ფოტოებს გადაუღებენ და ლეგენდარული ლაინერის ნანგრევების დეტალურ 3D მოდელს შეადგენენ.

სპეციალისტები ამისთვის სკანირების ტექნოლოგიას გამოიყენებენ, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ხელოვნების ნიმუშების ანალიზში. მათი მიზანი კი გემის ჩაძირვის ახალი დეტალების დადგენაა.

ეს პირველი კომერციული მისიაა „ტიტანიკთან“ 2023 წლის OceanGate-ის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც სუბმარინის ჩაძირვის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა.

ტიტანიკი 1912 წლის აპრილში ჩაიძირა. შედეგად დაახლოებით 1500 ადამიანი დაიღუპა. ლაინერის ნანგრევები ატლანტის ოკეანეში, 3 750 მეტრის სიღრმეზე 1985 წელს აღმოაჩინეს.



# მანქანა, რომელსაც შეუძლია ჰაერი წყლად აქციოს!

**მეცნიერებმა შექმნეს მანქანა, რომელსაც, ხალხური სიტყვებით, შეუძლია ეფექტურად გადააქციოს ჰაერი წყლად - გარემოდან ტენიანობის გამოდევნით, თუნდაც მშრალ პირობებში.**

სორბციაზე დაფუძნებული ატმოსფერული წყლის შეგროვება (SAWH) არის ინჟინერიის სფერო, რომელიც ეძებს წყლის დეფიციტის გადაჭრის გზებს, რაც „მსოფლიოში დიდ გამოწვევად რჩება“, ნათქვამია ACS Energy Letters- ში გამოქვეყნებულ კვლევაში.

მსგავსი ინჟინერიის მაგალითებია ნისლის კომბაინი და წყლის კომბაინი, რომლებიც აგროვებენ ტენიანობას ჰაერიდან.

თუმცა, ეს ახლანდელი მოდელები „ხშირად არ გამოიყენება მშრალ გარემოში“, ამიტომ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოიგონეს ახალი მოდელი, რომელმაც „აჩვენა დიდი პოტენციალი მტკნარი წყლის მიწოდებისთვის კლიმატური პირობების ფართო სპექტრში“.

ველური ბუნების მსოფლიო ფონდი ამბობს , რომ „მსოფლიოში დაახლოებით 1,1 მილიარდ ადამიანს არ აქვს წვდომა წყალზე და სულ 2,7 მილიარდს უჭირს წყალი წელიწადში მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში“...

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი** - 2.7117; **ევრო** - 2.9582;
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი** - 3.5182;
**100 რუბლი** - 3.0866; **თურქული ლირა** - 0.0820;
**აზერბაიჯანული მანათი** - 1.5947;
**1000 სომხური დრამი** - 6.9900.

**ამინდი 17 ივლისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +33 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +21, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +17, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე | +23, | დღე +34 |

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 ივლისს**